პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО И ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 8 მარტი, 1946 წ. № 49 (7522). ფასი 20 კაპ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ქალს და მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ საბჭოთა ქალები კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

# ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის შესახებ

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

ქალთა საერთაშორისო დღეს—8 მარტს საბჭოთა კავშირის მშრომელები წელს ეგებებიან ვითარებაში, როცა საბჭოთა ხალხმა ძლევამოსილად დაამთავრა დიდი სამამულო ომი და კვლავ შეუდგა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, ჩვენი ქვეყნის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლას.

ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის მძიმე წლებში განსაკუთრებით ძალით გამოვლინდა სსრ კავშირის ქალის, როგორც საბჭოთა საზოგადოების დიდი ძალის, როლი. [illegible]

[illegible] ბელთაგან ევროპის ხალხთა განთავისუფლების საქმეში. ფაშიზმის წინაალმდეგ თავდადებული ბრძოლით საბჭოთა ქალმა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო პატივისცემა მოიპოვა.

საბჭოთა ქალებმა სამშობლოს წინაშე თავიანთი მოვალეობის სასახელოდ შესრულება შესძლეს იმის მეოხებით, რომ ბოლშევიკურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ გაათავისუფლეს ქალები წინანდელი უუფლებობისა და ჩაგვრისაგან. საბჭოთა კავშირში ქალებისათვის უზრუნველყოფილია მამაკაცებთან ნამდვილად თანასწორი უფლებანი სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საბჭოთა ქალი დიდი ძალაა სოციალისტურ მრეწველობაში და ტრანსპორტზე. მილიონობით მუშა ქალი კეთილსინდისიერად შრომობს საწარმოებში, რკინიგზებზე, დაუღალავად აუმჯობესებს თავის ოსტატობას, წარმატებით ეუფლება რთულ პროფესიებსა და სპეციალობებს. ათეულ ათასობით ქალი ფაბრიკებსა და ქარხნებში ხელმძღვანელობს ბრიგადებს, ცვლებსა და საამქროებს. მრავალი ქალი სათავეში უდგას ფაბრიკებსა და ქარხნებს. მარტო მრეწველობაში 250 ათასზე მეტი ინჟინერი და ტექნიკოსი ქალი მუშაობს.

უდიდეს როლს თამაშობენ საბჭოთა ქალები სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. კოლმეურნე ქალები, საბჭოთა მეურნეობების მუშა ქალები თავდადებით შრომობენ მინდვრებსა და ფერმებში. 350 ათასზე მეტი მოწინავე ქალი ხელმძღვანელობს ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებს. ათასობით ქალი მუშაობს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად. სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნიკას დაუფლებული 254 ათასი ქალი მუშაობს სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებად, ტრაქტორისტებად და კომბაინერებად.

საბჭოთა ქალები აქტიურად მონაწილეობენ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარებაში. ათეულ ათასობით ქალი ეწევა მეცნიერულ მუშაობას სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში. მათ სერიოზული განძი შეიტანეს საბჭოთა მეცნიერებაში. მრავალი მათგანი მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი თვალსაჩინო მეცნიერი გახდა. მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში თვალსაჩინო მუშაობისათვის 116 ქალს მიენიჭა სტალინური პრემიები.

დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ჩვენი ქვეყნის ქალები კულტურის სარბიელზე. სახალხო განათლების დარგში 750 ათასი მასწავლებელი ქალი მუშაობს. ათეულ ათასობით ქალი მუშაობს სკოლების დირექტორებად, სახალხო განათლების განყოფილებათა ინსპექტორებად და ასრულებს სხვა ხელმძღვანელ სამუშაოს სახალხო განათლების ორგანოებში. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში 100 ათასამდე ექიმი ქალი მუშაობს.

მხოლოდ საბჭოთა წყობილებას შეეძლო აემაღლებინა მილიონობით ქალთა შემოქმედებითი ინიციატივა, აღეზარდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველი ქალები, ქალები—საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, ქალები — სტალინური პრემიის ლაურეატები, ქალები—სახელმწიფო მოღვაწენი.

არც ერთ სხვა ქვეყანაში ქალი—დედა არ სარგებლობს ისეთი პატივისცემით, როგორც სსრ კავშირში. საბჭოთა სახელმწიფო მუდმივ მზრუნველობას იჩენს ქალის — დედის მიმართ. 750 ათასზე მეტი დედა დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის" ორდენებით და დედობის მედლებით. 5.850 საბჭოთა ქალმა მიიღო „გმირი დედის" მაღალი წოდება. სახელმწიფო დიდ სახსრებს ხარჯავს დედისა და ბავშვის დასახმარებლად. მარტო უკანასკნელი წლის განმავლობაში მრავალშვილიანმა და მარტოხელა დედებმა 2 მილიარდი მანეთი სახელმწიფო დახმარება მიიღეს.

საბჭოთა ქალი — მოქალაქე და მშრომელი—სასახელოდ და ღირსეულად ასრულებს თავის მაღალ და პასუხსაგებ მოვალეობას მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. ქალები—დედები, საბჭოთა პატრიოტები თავიანთ შვილებს ზრდიან სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. დიდმა სამამულო ომმა მთელ მსოფლიოს დაანახვა, საბჭოთა ადამიანების რა გმირული თაობა აღზარდეს ჩვენი ქვეყნის ქალებმა—დედებმა.

საბჭოთა ქალების მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა და ორგანიზებულობა ნათლად გამოიხატა მათი აქტიური მონაწილეობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატთათვის ხმის ერთსულოვანი მიცემით საბჭოთა ქალებმა გამოხატეს უსაზღვრო ნდობა ლენინ-სტალინის პარტიისადმი და მზადყოფნა თავიანთი ძალები მოახმარონ ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა საუკეთესო შვილები—ქალები, რომლებმაც შრომის ოსტატთა სახელი მოიპოვეს ფაბრიკებში, ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, გამოჩენილი მეცნიერები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, საზოგადო მოღვაწენი ღირსნი გახდნენ მაღალი ნდობისა — არჩეული არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შორის 277 ქალია. 1.500-ზე მეტი საბჭოთა ქალი არის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, 456 ათასზე მეტი —ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი. საბჭოთა კავშირის მილიონობით ქალი მამაკაცების თანაბრად მონაწილეობს სახელმწიფო მართვა-გამგეობაში.

დიდი და პასუხსაგებია საბჭოთა ქალების როლი ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანათა შესრულებაში. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა უნდა აღადგინოს მეურნეობა და კულტურული დაწესებულებანი მტრისაგან დაზარალებულ რაიონებში, გადააჭარბოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ომამდელ დონეს, მიაღწიოს კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ახალ აყვავებას, მნიშვნელოვნად აამაღლოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, კიდევ უფრო განამტკიცოს საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება. ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ქალები ამ დიად ამოცანათა განხორციელებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იქნებიან.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი ჩაატარონ ახალი ხუთწლედის წლებში სოციალისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის კომუნისტური პარტიის გარშემო მშრომელ ქალთა შემდგომი დარაზმვის ნიშნით. პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა განუმარტონ ყველა მშრომელ ქალს, რომ მათს შრომითს ღონისძიებებზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ახალი აყვავება, ხალხის საარსებო დონის ამაღლება, ომით გამოწვეული ყველა სიძნელის უსწრაფესი გადალახვა.

პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა ქალებს კიდევ უფრო ფართოდ უნდა მიაღებინონ აქტიური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მთელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, ხელი შეუწყონ მათი შეგნებულობისა და ორგანიზებულობის ზრდას, დააწინაურონ მოწინავე ქალები ხელმძღვანელ სამუშაოზე საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გააძლიერონ ყოველდღიური ზრუნვა ქალისა და ბავშვებისათვის, ახსოვდეთ, რომ ბავშვთა აღზრდა პირველხარისხოვანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს წარმოადგენს. ყველა საბჭოთა, პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ქალებს მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

პარტიულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა იბრძოლონ პარტიისა და მთავრობის იმ დადგენილებათა შესრულებისათვის, რომლებიც მიმართულია ქალთა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისაკენ, მიაღწიონ საბავშვო ბაგებისა და საბავშვო ბაღების, სამშობიარო სახლების, სამკურნალო დაწესებულებათა, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებას და მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

პატივისცემით, მუდმივი მზრუნველობით მოვეპყროთ ქალს—დედას!

საბჭოთა ქალებო! უფრო შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო! იბრძოლეთ საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალი აყვავებისათვის!

ქალებო—მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! დაუღალავად ამაღლეთ შრომის ნაყოფიერება, აუმჯობესეთ სამრეწველო პროდუქციის ხარისხი, წინ წასწიეთ წარმოების ტექნიკა! იბრძოლეთ სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობისათვის!

ქალებო — კოლმეურნეებო, გლეხებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, აგრონომებო და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკნო! საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ მომზადებითა და ჩატარებით უზრუნველჰყავით 1946 წელს უხვი მოსავლის მიღება! მიაღწიეთ პირუტყვის სულადობის შემდგომ ზრდასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას!

საბჭოთა ქალებო! ხელი შეუწყეთ მტრების მიერ დანგრეული ფაბრიკებისა და ქარხნების, შახტებისა და ელექტროსადგურების, რკინიგზების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების უსწრაფეს აღდგენას!

ქალებო — მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებო! დაუღალავი შემოქმედებითი შრომით წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება. დანერგეთ მეცნიერების მიღწევანი სახალხო მეურნეობაში!

ქალებო — მასწავლებლებო, სახალხო განათლებისა და კულტურის მუშაკებო! აღზარდეთ განათლებული და კულტურული საბჭოთა ადამიანები! იბრძოლეთ ჩვენს ქვეყანაში განათლებისა და კულტურის ახალი აყვავებისათვის!

ქალებო — მედიცინის მუშაკებო! აუმჯობესეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობა! ამაღლეთ მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების ხარისხი!

ქალებო — საბჭოთა დაწესებულებების მოსამსახურენო! იბრძოლეთ საბჭოთა კანონების ზუსტად შესრულებისათვის, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს! აუმჯობესეთ საბჭოთა აპარატის მუშაობა!

საბჭოთა კავშირის ქალებო! შეუნელებელი ყურადღება გამოიჩინეთ იმ მეომართა ოჯახებისადმი, რომლებმაც თავი დასდეს სამშობლოსათვის!

დედობრივი მზრუნველობითა და ალერსით მოეპყარით ობოლ ბავშვებს! გააძლიერეთ ზრუნვა სამამულო ომის ინვალიდებისათვის!

სალამი თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ქალებს, რომლებიც იბრძვიან ხალხთა შორის მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმება საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელ ქალს და მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ საბჭოთა ქალები კვლავაც დაუღალავად იბრძოლებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

# საბჭოთა სამშობლოს პატრიოტი ქალები

ქალთა საერთაშორისო დღეს —8 მარტს ოთხი წლის სასტიკი ბრძოლების შემდეგ, პირველად აღვნიშნავთ მშვიდობიანი მშენებლობის ვითარებაში.

მრისხანე განსაცდელის ჟამმა განვლო. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, ლენინ-სტალინის პარტიის, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის წინამძღოლობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს სამამულო ომში.

ფასდაუდებელია საბჭოთა ქალების ღვაწლი ჩვენს გამარჯვებაში. როცა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას ფაშისტური საფრთხე დაემუქრა, საბჭოთა ქალები ერთსულოვნად აღსდგნენ სამშობლოს დასაცავად. ათასობით ქალი ნებაყოფლობით წავიდა წითელი არმიის რიგებში, რათა იარაღით ხელში დაეცვა თავისი ბედნიერი ცხოვრება. ფრონტზე თუ პარტიზანულ რაზმებში ისინი საარაკო მამაცობასა და გმირობას იჩენდნენ. ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ქალიშვილების—საბჭოთა კავშირის გმირების ზოია კოსმოდემიანსკაიას და ლიზა ჩაიკინას საგმირო საქმეებში გამოხატულია საბჭოთა ქალებისა და ქალიშვილების მგზნებარე, უანგარო სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი. ისტორიამ არ იცის ქალთა მასობრივი გმირობის ისეთი მაგალითები, როგორიც სამამულო ომში საბჭოთა ქალმა გამოიჩინა. მტრის წინააღმდეგ ერთნაირი თავგამეტებით იბრძოდნენ ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა ხალხის ქალიშვილები. მათ შორის იყვნენ ქართველებიც, რომელთა სახელებს სამშობლო არასოდეს არ დაივიწყებს.

ზურგში დარჩენილი ქალები თავდადებული შრომით ეხმარებოდნენ ფრონტელებს მტერზე გამარჯვების მოპოვებაში. სწორედ ქალებმა და ახალგაზრდობამ გადაიტანეს ზურგში მუშაობის ძირითადი სიმძიმე. მათ შესძლეს უზრუნველეყოთ გმირი წითელი არმია ყველაფრით, რაც საჭირო იყო მტრის განადგურებისათვის. ამაშია საბჭოთა ქალებისა და საბჭოთა ახალგაზრდობის უდიდესი დამსახურება.

საბჭოთა ქალს უსაზღვროდ უყვარს თავისი სოციალისტური სამშობლო, რომელმაც იგი გაათავისუფლა ჩაგვრისა და მონობისაგან, დაუმკვიდრა ბედნიერი და ნათელი ცხოვრება, ფართო გზა გაუხსნა მის ნიჭსა და უნარს.

საბჭოთა ქალი სოციალისტური სამშობლოს თავისუფალი, თანასწორუფლებიანი და მგზნებარე მშენებელია. მილიონობით საბჭოთა ქალი თავდადებულად შრომობს ფაბრიკებსა და ქარხნებში. ბევრი მათგანი მაღალკვალიფიციური ოსტატია. მარტო საქართველოს მრეწველობაში ასობით ინჟინერ-ტექნიკოსი ქალი მუშაობს. ეს არის ქალთა ნამდვილი თანასწორუფლებიანობის ნათელი გამოხატულება.

ქალი საკოლმეურნეო სოფლის დიდი ძალაა. საკოლმეურნეო წყობამ იგი დამოუკიდებელი გახადა. ათასობით ქალი სასახელოდ უძღვება საკოლმეურნეო ბრიგადებსა და თვით კოლმეურნეობებს, ბეჯითი და დაუღალავი შრომით ზრდის ჩვენი ქვეყნის სიმდიდრესა და ბარაქას. მარტო საქართველოში 70-მდე ქალი ხელმძღვანელობს კოლმეურნეობებს. ეს ქალთა ზრდის, მისი ძალის მკაფიო გამოხატულებაა.

საბჭოთა ქალი აქტიურ მონაწილეობას იღებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 277 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. მათ შორის საქართველოდან არის რვა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია 56 ქალი. ეს ქალთა დიადი უფლებების ბრწყინვალე გამოხატულებაა.

არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელშიც ქალი აქტიურად არ მონაწილეობდეს. მდიდარი და მრავალფეროვანია საბჭოთა ქალის მოღვაწეობა, რადგან მისი ინტერესების სადარაჯოზე დგას საბჭოთა სახელმწიფო, ლენინ-სტალინის დიადი პარტია, ბრძენი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, სოციალისტურ სამშობლოშია შესაძლებელი ის, რომ რიგითი კოლმეურნე ქალი მფრინავი და მუსიკოსი გახდეს, დიასახლისი—სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი, მუშა—ინჟინერი და კონსტრუქტორი.

მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაშია პატივცემული და დაფასებული ქალი—დედა. იგი საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკების პარტიის უდიდესი მზრუნველობითა და ყურადღებით არის გარემოსილი.

მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაშია დაფასებული ქალის ღვაწლი და შრომა. მრავალი ქალი სტალინური პრემიის ლაურეატია. ათასობით ქალი მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით—ორდენებითა და მედლებით არის დაჯილდოებული. სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავზე 80-ზე მეტი ქალი დაჯილდოებულია ორდენებით. მათ შორის ექვსმა ლენინის ორდენი დაიმსახურა. ეს არის ქალთა შრომის ღირსეული დაფასების მკაფიო გამოხატულება.

ჩვენი ქვეყანა ამაყობს თავისი ქალიშვილებით. საბჭოთა ქალი ამაყობს თავისი სამშობლოთი, ძალასა და ენერგიას არ იშურებს მისი კეთილდღეობისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის შესახებ, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთში ქვეყნდება, აღნიშნავს რა ქალთა ფასდაუდებელ ღვაწლს სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში, ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმონ მშრომელი ქალები ბოლშევიკების პარტიის გარშემო სოციალისტური მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ღრმად განუმარტონ ქალთა მასებს, რომ მათს შრომითს თავდადებაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავება, ხალხის კულტურულ - საყოფაცხოვრებო დონის ამაღლება, ომით გამოწვეული ყველა სიძნელის უსწრაფესად გადალახვა.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა განუხრელად განახორციელონ ცენტრალური კომიტეტის ეს მითითება, უზრუნველჰყონ მშრომელ ქალთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა მშვიდობიანი მშენებლობის ვითარების გრანდიოზულ ამოცანათა განხორციელებაში, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ დიად ამოცანათა შესრულებაში.

## ორდენები გადაეცათ ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, ა. ა. ანდრეევს, ნ. მ. შვერნიკსა და ა. ა. ჟდანოვს

6 მარტს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა ორდენები გადასცა ამხანაგებს ვ. მ. მოლოტოვს, ა. ა. ანდრეევს, ნ. მ. შვერნიკსა და ა. ა. ჟდანოვს.

ლენინის ორდენი გადაეცა ამხ. ვ. მ. მოლოტოვს, რომელიც დაჯილდოებულია სამამულო ომის დროს მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ლენინის ორდენი გადაეცა ამხ. ა. ა. ანდრეევს, რომელიც პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია მისი დაბადების 50 წლისთავის დღეს.

ამხ. ნ. მ. შვერნიკს ლენინის ორდენი გადაეცა მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშახელით უზრუნველყოფის დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სამამულო ომის პერიოდში.

ლენინის ორდენი გადაეცა ამხ. ა. ა. ჟდანოვს, რომელიც პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია მისი დაბადების 50 წლისთავის დღეს. (საკდესი).

## საბჭოთა კავშირ-ირანის კომუნიკე ირანის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ კავამ-ეს-სალტანეს მოსკოვში ყოფნის შესახებ

ამა წლის 19 თებერვლიდან 6 მარტამდე მოსკოვს ყოფნის დროს ირანის პრემიერ-მინისტრ ბ-ნ კავამ-ეს-სალტანეს მთელი რიგი საუბრები ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გენერალისიმუს ი. ბ. სტალინთან და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვთან.

ამ საუბრების დროს მეგობრობის ატმოსფეროში სწარმოებდა მოლაპარაკება და განხილულ იქნა საკითხები, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

ორივე მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა ირანში საბჭოთა კავშირის ახალი ელჩის დანიშვნის შემდეგ ხელსაყრელი პირობები შეიქმნას ორივე ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

## ვ. ი. სტალინს და დ. გ. შანშაშვილს ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭათ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 1 მარტის დადგენილებით არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალთა და ოფიცერთა ჯგუფს მიენიჭა სამხედრო წოდებანი. მათ შორის ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭათ ვასილ იოსების-ძე სტალინს და დიმიტრი გიორგის-ძე შანშაშვილს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

## მეცნიერების მოღვაწეთა და მეცნიერ მუშაკთა მატერიალური პირობების გაუმჯობესება

ჯერ კიდევ ომამდე სსრ კავშირის სახკომსაბჭომ შეიმუშავა მეცნიერების მოღვაწეთა და მეცნიერ მუშაკთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების ძირფესვიანი გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა. მაგრამ ომმა ხელი შეუშალა დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა კვლავ დაადგა მშვიდობიანი განვითარების გზას, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს შესაძლებლობა აქვს დაუბრუნდეს აღნიშნულ გეგმას.

1946 წლის 6 მარტს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მეცნიერების მოღვაწეთა და მეცნიერ მუშაკთა ჯამაგირის გადიდებისა და მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა—1946 წლის 1 აპრილიდან მნიშვნელოვნად გაუდიდდეთ ჯამაგირი მეცნიერების მოღვაწეებს და მეცნიერ მუშაკებს:

ა) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის, არქიტექტურის აკადემიის, სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიისა და პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელ შემადგენლობას (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტები, პრეზიდიუმის წევრები, აკადემიკოსი მდივნები);

ბ) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალების ხელმძღვანელებს, მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორებსა და დირექტორების მოადგილეებს მეცნიერული მუშაობის დარგში, სახალხო კომისარიატთა და უწყებათა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელებს, რომელთაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი;

გ) მეცნიერებათა აკადემიების ინსტიტუტებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა ლაბორატორიების, განყოფილებების, სექტორებისა და ნაწილების ხელმძღვანელებს, უფროს და უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს, სახალხო კომისარიატთა და უწყებათა უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკებს, რომელთაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი;

დ) სახალხო კომისარიატთა და უწყებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორებსა და დირექტორების მოადგილეებს მეცნიერული მუშაობის დარგში, რომელთაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი ან სამეცნიერო წოდება;

ე) სახალხო კომისარიატთა და უწყებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკებს, რომელთაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი;

ვ) უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებსა და დირექტორების მოადგილეებს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის დარგში, უმაღლეს სასწავლებელთა კატეგორიების მიხედვით: რომელთაც აქვთ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ან პროფესორის სამეცნიერო წოდება, მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ან დოცენტის წოდება;

ზ) უმაღლეს სასწავლებელთა პროფესორებს, სამეცნიერო ხარისხისა და მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟის მიხედვით;

თ) უმაღლეს სასწავლებელთა დოცენტებს, აგრეთვე იმ უფროს მასწავლებლებს, რომელთაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი;

ი) უმაღლეს სასწავლებელთა უფროს მასწავლებლებს, ასისტენტებს, მასწავლებლებს და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს, რომელთაც არა აქვთ სამეცნიერო ხარისხი ან წოდება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ აგრეთვე დაადგინა უზრუნველჰყოს მეცნიერების მოღვაწეთა და მეცნიერ მუშაკთა სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების გაუმჯობესება.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხელოვნების მუშაკებისათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

შემოქმედებითი და შრომითი საქმიანობის დარგში მიღწეული წარმატებისათვის მიენიჭოთ:

### საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის წოდება:

1. **ჯაფარიძეს** უჩა მალაქიას-ძეს—მხატვარს.
2. **ნიკოლაძეს** იაკობ ივანეს-ძეს—მოქანდაკეს.
3. **თოიძეს** მოსე ივანეს-ძეს—მხატვარს.

### საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება:

1. **ბერიანს** მარიამ გიორგის-ასულს—თბილისის სომხური დრამის თეატრის მსახიობს.
2. **ზაქარიაძეს** სერგი ალექსანდრეს-ძეს — მარჯანიშვილის სახელობის თბილისის დრამატიული თეატრის მსახიობს.
3. **კობახიძეს** პეტრე კალისტრატეს-ძეს — მარჯანიშვილის სახელობის თბილისის დრამატიული თეატრის მსახიობს.
4. **სმირანინს** ანატოლ დიმიტრის-ძეს — გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამატიული თეატრის მსახიობს.
5. **ხარაძეს** ნადეჟდა ვასილის-ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

### საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება:

1. **აბვლედიანს** ელენე დიმიტრის-ასულს — მხატვარს.
2. **გეგეჭკორს** კიწი ბესარიონის-ძეს—ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.
3. **გრიგოლიას** ვლადიმერ დავითის-ძეს — მხატვარს.
4. **ჟელტუხინს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს— საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველოს ორკესტრის დირიჟორს.
5. **ქობულაძეს** სერგი სოლომონის-ძეს—მხატვარს.
6. **კოკელაძეს** გრიგოლ ირაკლის-ძეს—კომპოზიტორს.
7. **ქუთათელაძეს** აპოლონ ყარამანის-ძეს — მხატვარს.
8. **ქუთათელაძეს** დავით ექვთიმეს-ძეს—მხატვარს.
9. **მაღალაშვილს** ქეთევან კონსტანტინეს-ასულს—მხატვარს.
10. **მელვინეთ-უხუცესს** კონსტანტინე ვასილის-ძეს—კომპოზიტორს.
11. **მეგრელიძეს** ავქსენტი ვასილის-ძეს—დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ინსტრუმენტალური ჯგუფის ხელმძღვანელს და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მთავარ კონსულტანტს.
12. **მერაბიშვილს** კონსტანტინე მიხეილის-ძეს —მოქანდაკეს.
13. **მიქატაძეს** შოთა ვლადიმერის-ძეს—მოქანდაკეს.
14. **ნადარეიშვილს** სამსონ დიმიტრის-ძეს — მხატვარს.
15. **ფალავას** აკაკი ნესტორის-ძეს—ხელოვნებათმცოდნეს.
16. **პაჭკორიას** კირილე ნესტორის-ძეს — დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელს.
17. **სანაძეს** კორნელი ბარნაბის-ძეს—მხატვარს.
18. **სიმონიშვილს** ვარლამ ოქროპირის-ძეს — მახარაძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.
19. **თაქთაქიშვილს** გიორგი მიხეილის-ძეს—სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედის დირექტორს და მასწავლებელს.
20. **თოფურიძეს** ვალენტინ ბაგრატის-ძეს—მოქანდაკეს.
21. **თუმანიშვილს** იოსებ მიხეილის-ძეს—კინოსტუდიის რეჟისორს.
22. **ციციშვილს** დავით ნიკოლოზის-ძეს—ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მხატვარ-კონსულტანტს.
23. **ცომაიას** სოფრომ დიმიტრის-ძეს—ქუთაისის სახელმწიფო დრამატიული თეატრის დირექტორს და სამხატვრო ხელმძღვანელს.
24. **ჩხარტიშვილს** არჩილ ესტატეს-ძეს—აჭარის ასსრ სახელმწიფო დრამატიული თეატრის დირექტორს და სამხატვრო ხელმძღვანელს.
25. **ჩხიკვაძეს** გრიგოლ ზაქარიას-ძეს—კომპოზიტორ-მუსიკათმცოდნეს.
26. **შავერზაშვილს** თამარ ანტონის-ასულს — კომპოზიტორს.
23. **შებუევს** ბორის გიორგის-ძეს—თბილისის სამხატვრო აკადემიის მხატვარ-მასწავლებელს.
28. **შელეგიას** რემა ზაალის-ძეს—ცხაკაიას სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება:

1. **აგრბას** როზენბეი მიხეილის-ძეს—აფხაზური დრამის სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
2. **აბესაძეს** კაპიტონ მელქისედეკის-ძეს—ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
3. **არეშიძეს** ვახტანგ მოსეს-ძეს — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.
4. **აფხაიძეს** ალექსი ნიკოლოზის-ძეს—თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენის დრამატიული თეატრის მსახიობს.
5. **ბელენკოს** ოლღა იაკობის-ასულს—კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის მსახიობს.
6. **ბურლაკოვს** ვასილ პავლეს-ძეს—რუსული დრამის სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
7. **ლვინიაშვილს** თინათინ ლევანის-ასულს — ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
8. **გვენცაძეს** გიორგი ალექსის-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის ორკესტრის მსახიობს.
9. **გერმესაშვილს** ვლადიმერ იაკობის-ძეს — საქართველოს სსრ რადიოკომიტეტის მსახიობს.
10. **გოგიჩაძეს** გიორგი მიხეილის-ძეს—თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
11. **გორსკი—ტერ-გევონდიანს** სურენ გარეგინის-ძეს—თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტს.
12. **დაუშვილს** კონსტანტინე დავითის-ძეს — თბილისის კინოსტუდიისა და მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
13. **დუნენკოს** ტატიანა გრიგოლის-ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის კონცერტმაისტერს.
14. **ივაშკინს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტს.
15. **ყარალაშვილს** კოხტა გიორგის-ძეს—კინოსტუდიის მსახიობს.
16. **კიკალეიშვილს** ზურაბ მალაქიას-ძეს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტს.
17. **კობალაძეს** უსუფ ომერის-ძეს — აჭარის ასსრ სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობს.
18. **კრავეიშვილს** ბართლომე ირაკლის-ძეს— თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის სოლისტს.
19. **ლიპნიცკის** აბრამ სიმონის-ძეს—გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამატიული თეატრის მსახიობს.
20. **ლორთქიფანიძეს** თეიმურაზ აპოლონის-ძეს—ბერიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრის რეჟისორ-მსახიობს.
21. **მაკარაშვილს** თამარ ალექსანდრეს-ასულს —ქართული დრამის სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
22. **მირიანაშვილს** ლიდა გრიგოლის-ასულს— თოჯინებისა და ლანდების ქართული თეატრის მსახიობს.
23. **სანიშვილს** ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძეს— კინოსტუდიის რეჟისორს და მსახიობს.
24. **საფაროვას** ეკატერინე ერვანდის-ასულს— თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტს.
25. **სმირნოვას** ანტონინა დანიელის-ასულს— გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამატიული თეატრის მსახიობს.
26. **ტერიაშვილს** ელენე გიორგის-ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის გუნდის ხელმძღვანელს.
27. **ქაბუკიანს** თამარ მიხეილის-ასულს—თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტს.
28. **ჩაბიევას** ზინაიდა მიხეილის-ასულს—სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს.
29. **ჩუბინიძეს** მიხეილ დიმიტრის-ძეს—ქართული დრამის სოხუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სტურუა**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი**

1946 წ. 5 მარტი
ქ. თბილისი

# 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მეშვიდე ტირაჟის წინ

### სატირაჟო ტექნიკური მოწყობილობანი

რამდენიმე დღის წინათ მოსკოვიდან მიიღეს სატირაჟო ტექნიკური მოწყობილობანი—ნომრების ამოსაღები ბორბლები, სპეციალური მაგიდები, სანომრე ვაზნები, მოგებათა მაჩვენებელი ელექტროდაფა და სხვ.

ეს მოწყობილობა დადგმულ იქნება გრიბოედოვის სახელობის თეატრში, სადაც დანიშნულია მეშვიდე ტირაჟის გათამაშება.

### ტირაჟის გათამაშების წესი

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მეშვიდე ტირაჟის დაწყების წინ შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. კ. ციმაკურიძე. შემდეგ ტირაჟის ტექნიკურად მოწყობის საკითხებს განმარტავს სატირაჟო კომისიის მდივანი, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ლ. ვასილიევა.

სატირაჟო მოწყობილობათა შემოწმების შემდეგ სკოლამდელი ასაკის ბავშვები დაიწყებენ ბორბლებიდან მომგებიანი ნომრების ამოღებას. გათამაშებული იქნება 1.017.750 მოგება 271.565.200 მანეთის თანხისა. მათ შორის 118 მოგება იქნება თითო 50.000-მანეთიანი, 236 მოგება—თითო 25.000-მანეთიანი, 590 მოგება—თითო 10.000-მანეთიანი, 1.180 მოგება—თითო 5.000-მანეთიანი, 11.800 მოგება — თითო 1.000-მანეთიანი, 118.000 მოგება—თითო 500-მანეთიანი და 885.826 მოგება თითო—200-მანეთიანი.

### გათამაშების საათები

ტირაჟის გათამაშება დაიწყება 9 მარტს საღამოს 7 საათზე და დამთავრდება ღამის 10 საათზე. შემდეგ გაიმართება კონცერტი.

გათამაშება განახლდება 10 მარტს დილის 10 საათზე და გასტანს ნაშუადღევის 4 საათამდე. შემდეგ გათამაშება დაიწყება იმავე დღის საღამოს 6 საათზე და გასტანს 9 საათამდე.

მოგებათა გაცემა იწარმოებს იქვე, დარბაზში მომგებიანი ობლიგაციის წარდგენისთანავე.

# ფულის სათვლელი მანქანა

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საემისიო სამმართველოს ლაბორატორიამ ინჟინერ ა. გ. ლიმანოვის ხელმძღვანელობით გააკეთა ლითონის ფულის სათვლელი მანქანა. იგი გამოირჩევა დიდი ნაყოფიერებით — წუთში სთვლის 2 ათას ცალ ფულს. მანქანა თანაბარი სისწრაფითა და სიზუსტით სთვლის ყოველი ღირებულებისა და ყოველგვარი ლითონის—ოქროს, ვერცხლის, ნიკელის, ბრინჯაოს ფულს.

თვლა შეიძლება ვაწარმოოთ განსაზღვრული რაოდენობითაც. ერთი მოცემული თანხის გადათვლის შემდეგ მანქანა ავტომატურად იწყებს სხვა თანხის თვლას. კონსტრუქცია უზრუნველჰყოფს დათვლის აბსოლუტურ სიზუსტეს.

ახალი კონსტრუქციის ფულის სათვლელი მანქანა (მშმ-3) დიდი არ არის. იგი შეიძლება დაიდგას მაგიდაზე, დაზგაზე, ტაბურეტზე. მისი ამუშავება შეიძლება პატარა ელექტრომოტორით ან ხელით. (საკდესი).

# ბოლშევიკური პარტიის X ყრილობის ოცდახუთი წელი

ოცდახუთი წლის წინათ (1921 წლის 8-16 მარტს) შესდგა რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობა. ეს ყრილობა შეიკრიბა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ისტორიის გარდატეხის მომენტში. ჩვენმა ქვეყანამ ძლევამოსილად დაამთავრა სამოქალაქო ომი და გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწია უცხოელთა სამხედრო ინტერვენციას. ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებულმა ამ დიადმა გამარჯვებამ საბჭოთა ხალხს განუმტკიცა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული გამარჯვების შესაძლებლობის რწმენა.

მოიპოვა რა შესვენება, საბჭოთა ხელისუფლება გადადიოდა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე. პარტიის წინაშე დიდი სიძნელენი იდგნენ. ჩვენი ქვეყნის საუკუნოვან ჩამორჩენილობას ართმავებდა ის, რომ მეურნეობა დანგრეული იყო მრავალი წლის ომითა და ინტერვენციით.

კლასობრივი მტერი ცდილობდა გამოეყენებინა ჩვენი ქვეყნის მძიმე სამეურნეო მდგომარეობა იმისათვის, რომ გლეხები აემხედრებინა მუშების წინააღმდეგ, ორივე ისინი კი საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკების პარტიის წინააღმდეგ. პარტიას ესმოდა, რომ მოპოვებული გამარჯვების შენარჩუნებისა და საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარებისათვის საჭირო იყო ომისა და ბლოკადის ვითარებით შექმნილი სამხედრო კომუნიზმის სისტემიდან ისეთ სამეურნეო პოლიტიკაზე გადასვლა, რომელიც განამტკიცებდა მუშათა კლასის კავშირს გლეხობასთან და უზრუნველჰყოფდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საძირკვლის აშენებას. სწორედ ეს გადასვლა განსაზღვრა პარტიის X ყრილობამ.

* * *

ლენინის მოხსენების გამო და მისი ინიციატივით ყრილობამ გამოიტანა ისტორიული გადაწყვეტილება სასურსათო გაწერიდან სასურსათო გადასახადზე, ანუ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე (ნეპზე) გადასვლის შესახებ. სასურსათო გადასახადი სასურსათო გაწერაზე ნაკლები იყო, საშუალებას აძლევდა გლეხს თავისუფლად გამოეყენებინა თავისი წარმოების ნამეტი. საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკა ყოველნაირად უწყობდა ხელს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებას, როგორც მსხვილი სოციალისტური მრეწველობის განვითარებისა და ქალაქების მომარაგების აუცილებელ პირობას. ეს პოლიტიკა გარდუვალად იწვევდა კაპიტალისტური ელემენტების ერთგვარ დროებითს ზრდას.

ლენინის წინადადებანი ახალ სამეურნეო ბაზას ჰქმნიდნენ მუშებისა და გლეხების კავშირისათვის.

ინტერვენტებთან ბრძოლის პერიოდში მუშებისა და გლეხების კავშირს სამხედრო კავშირის ფორმა ჰქონდა, ვინაიდან იგი მიმართული იყო კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ. მტრის განადგურების შემდეგ მუშებისა და გლეხების კავშირმა ქალაქსა და სოფელს შორის, მუშებსა და გლეხებს შორის სამეურნეო თანამშრომლობის ფორმა მიიღო. ეს კავშირი მიმართული იყო ვაჭრისა და კულაკის წინააღმდეგ, ვინაიდან მისი მიზანი იყო გლეხებისა და მუშების ურთიერთმომარაგება ყოველივე საჭირო საქონლით და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საძირკვლის შექმნა.

X ყრილობის გადაწყვეტილებაში გამოჩნდა ჩვენი პარტიის პოლიტიკის სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა, მისი უნარი — მტკიცედ და გაბედულად გარდაქმნისა ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად.

ლენინი სთვლიდა, რომ საქონელბრუნვის ერთგვარი თავისუფლება შეჰქმნიდა გლეხის სამეურნეო დაინტერესებას, აამაღლებდა მისი შრომის ნაყოფიერებას და უზრუნველჰყოფდა სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობას, რომ ამ საფუძველზე აღდგებოდა სახელმწიფო მრეწველობა და განიდევნებოდა კერძო კაპიტალი, რომ, ძალთა და საშუალებათა დაგროვების შემდეგ, შესაძლებელი გახდებოდა შექმნილიყო მძლავრი ინდუსტრია — სოციალიზმის ეკონომიური საფუძველი, შემდეგ კი განხორციელებულიყო გადამწყვეტი შეტევა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ნაშთების მოსასპობად.

გამოვიდა ისე, როგორც განჭვრიტა ლენინმა.

ბოლშევიკების პარტიამ X ყრილობის მიერ მიღებული ეკონომიური პოლიტიკის საშუალებით შესძლო სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების იმდენად აღდგენა, რამდენადაც შესაძლებელი იყო ინდივიდუალური წვრილგლეხური მეურნეობის პირობებში, რომელიც მაშინ ჩვენს ქვეყანაში ბატონობდა. შემდეგ, პარტია, თანმიმდევრულად ხელმძღვანელობდა რა ლენინურ-სტალინური კოოპერატიული გეგმით, დაეხმარა გლეხობას დარწმუნებულიყო, რომ ხელსაყრელი და საჭირო იყო მეურნეობის ორგანიზაციის უფრო მაღალ საფეხურზე, მსხვილი სამანქანო ტექნიკით აღჭურვილ კოლმეურნეობებზე გადასვლა. ლენინ-სტალინის პარტიამ მოამზადა და ბრწყინვალედ განახორციელა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. საბჭოთა ხელისუფლებამ, ეყრდნობოდა რა გლეხობის უფართოესი მასების მხარდაჭერას, განახორციელა კულაკობის, ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასის ლიკვიდაცია.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, რომ მტკიცედ, თანმიმდევრულად არ განხორციელებულიყო ლენინურ-სტალინური პოლიტიკა გლეხობის მშრომელ მასებთან მუშათა კლასის კავშირისა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. პარტია ათეული წლების განმავლობაში ყოველნაირად განამტკიცებდა მუშებისა და გლეხების კავშირს და სასტიკად უსწორდებოდა ტროცკისტებს, ბუხარინელებს და ხალხის სხვა მტრებს, რომლებიც ხელჰყოფდნენ საბჭოთა საზოგადოების ორი ძირითადი კლასის კავშირის ურღვევობას. სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ გამოიწვია ამ კავშირის ახალი, კიდევ უფრო მაღალი ფორმა. მუშების, გლეხებისა და საბჭოთა ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობა წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმისა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საფუძველს.

* * *

პარტიის X ყრილობა ისტორიული ეტაპი იყო საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განვითარებასა და განმტკიცებაში. მუშებისა და გლეხების კავშირის განმტკიცებისაკენ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისაკენ მიმართული სამეურნეო მშენებლობის ახალი ლენინური პროგრამის გარდა, ყრილობამ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ეროვნულ საკითხზე, რაც ითვალისწინებდა ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ამ მძლავრი წყაროს, განვითარებასა და განმტკიცებას.

ყრილობაზე მოხსენება „პარტიის მორიგი ამოცანები ნაციონალურ საკითხში“ გააკეთა ამხანაგმა სტალინმა. მან პარტიას ამოცანად დაუსახა მოესპო წარსულის მძიმე მემკვიდრეობა —რუსეთის წინათ ჩაგრული ხალხების სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობა, რათა მათ შესძლებოდათ დასწეოდნენ წინ წასულ ცენტრალურ პროლეტარულ რუსეთს.

ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო ნაციონალური მშენებლობის ფართო პროგრამა, რომლის განხორციელებამაც უზრუნველჰყო ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სრული გამარჯვება, სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უმაგალითო განმტკიცება.

X ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება განხორციელებულიყო დახმარება არარუსი ხალხების მშრომელი მასებისადმი, რომ მათ განევითარებინათ და განემტკიცებინათ საბჭოთა სახელმწიფოებრიობა ამ ხალხების ეროვნულ-საყოფაცხოვრებო პირობების შესაფერ ფორმებში, განევითარებინათ მშობლიურ ენაზე მოქმედი სასამართლო, ადმინისტრაცია, მეურნეობის ორგანოები, ადგილობრივი ადამიანებისაგან შემდგარი ხელისუფლების ორგანოები, მშობლიურ ენაზე განევითარებინათ პრესა, სკოლა, თეატრი, ენერგიულად მოემზადებინათ ეროვნული ინტელიგენციის კადრები.

ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭირო იყო ნაციონალური რაიონების ინდუსტრიალიზაცია, იქ მსხვილი მრეწველობის—სოციალიზმის ძირითადი ბაზის—გეგმაზომიერი დანერგვა. ყრილობამ დასახა აგრეთვე მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანი იყო კომუნისტური ორგანიზაციების განმტკიცება ნაციონალურ რაიონებში, და წინადადება მისცა მათ ულმობელი ბრძოლა ეწარმოებინათ ანტილენინური გადახრების წინააღმდეგ ეროვნულ საკითხში.

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა ორი ანტიპარტიული გადახრა ნაციონალურ საკითხში. ეს გადახრები ნიშნავდნენ ლენინური ინტერნაციონალიზმისაგან უკანდახევას ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაკენ. პირველი გადახრა—დიდმპყრობელური (ველიკორუსული) შოვინიზმი—მდგომარეობდა მისწრაფებაში—ძირი გამოეთხარა ხალხთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის პრინციპისათვის და ყოველნაირად ჩაეშალა პარტიის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. მეორე გადახრა—ადგილობრივი ნაციონალიზმი — გამოიხატებოდა იმის ცდებში, რომ გაეზვიადებინათ ეროვნულ თავისებურებათა მნიშვნელობა, განცალკევებულიყვნენ და ჩაკეტილიყვნენ თავიანთი ეროვნების ჩარჩოებში, მიეჩქმალნათ კლასობრივი წინააღმდეგობანი თავიანთი ერის შიგნით. ეს გადახრა უკავშირდებოდა წინათ ჩაგრული ერების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ელემენტებს, ასუსტებდა სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობას და ხელს უწყობდა ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებს. ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, ორივე გადახრის უდიდესი საშიშროება პარტიის საქმისათვის.

პარტიის X ყრილობის გადაწყვეტილებებმა ეროვნულ საკითხზე განსაკუთრებული როლი შეასრულეს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში, ხალხთა თანასწორუფლებიანობისათვის, მათი ფაქტიური თანასწორობისა და ერთიან მეგობრულ ოჯახად შეკავშირებისათვის ბრძოლაში.

ხალხთა სტალინურმა მეგობრობამ თავისი უმაღლესი განსახიერება ჰპოვა სსრ კავშირის შექმნაში. ამას ხელი შეუწყო საბჭოთა რუსეთის ხალხთა სამეურნეო დაახლოებამ, რუსი ხალხის ყოველდღიურმა ძმურმა დახმარებამ სხვა ხალხებისადმი. ამას ხელი შეუწყო თვით საბჭოთა ხელისუფლების ბუნებამაც. საბჭოთა ხელისუფლება, ბოლშევიკური პარტია დაუღალავად ზრდიან საბჭოთა ხალხებს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში თვითეული რასისა და ერის თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით.

სახელმწიფო კავშირში გაერთიანებისაკენ საბჭოთა რესპუბლიკები მიჰყავდა მისწრაფებას—უზრუნველეყოთ თავიანთი დამოუკიდებლობა მტრული კაპიტალისტური გარემოცვის ვითარებაში. სამხედრო მდგომარეობა, საგარეო ვაჭრობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაჟინებით მოითხოვდნენ თანასწორუფლებიან ხალხთა მტკიცე კავშირსა და მეგობრობაზე დაფუძნებულ ერთიან საბჭოთა სახელმწიფოს.

დიდმა სამამულო ომმა ცხადჰყო პარტიის X ყრილობის ამ ისტორიულ გადაწყვეტილებათა სიდიადე და შორსმჭვრეტელობა. ჩვენ დავამარცხეთ ფაშისტური სახელმწიფოების გაერთიანებული ძალები იმიტომ, რომ ერთიან მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოდ შეკავშირებული საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი ამხანაგ სტალინის მოწოდებით ერთსულოვნად აღსდგა თავისი სამშობლოს დასაცავად. ამაშია საბჭოთა კავშირის ძლიერებისა და წითელი არმიის უძლეველობის ერთ-ერთი წყარო.

* * *

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში სოციალიზმისათვის ბრძოლაში, სამოქალაქო და სამამულო ომის მრისხანე წლებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებანი შეუძლებელი იქნებოდა ლენინ-სტალინის პარტიის მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლის გარეშე. პარტიისა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ხელმძღვანელ ძალას.

ჩვენი პარტიის უდიდესი ძალა მდგომარეობს მის პრინციპულ პოლიტიკაში, მისი რიგების სიწმინდეში, ერთიანობასა და დარაზმულობაში, მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის მილიონიან მასებთან მის ურღვევ კავშირში. ლენინისა და სტალინის მიერ მომზადებულმა და ჩატარებულმა პარტიის X ყრილობამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი პარტიის ერთიანობის განმტკიცებაში, ოპორტუნისტული ელემენტებისაგან მის გაწმენდაში.

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა X ყრილობის წინ გაშლილი დისკუსია პროფკავშირების შესახებ. ლენინი აღნიშნავდა, რომ ეს დისკუსია ხელსაყრელი იყო საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის. დისკუსიის და პარტიაში ლენინის წინააღმდეგ ბრძოლის მოთავეებად გამოვიდნენ ტროცკი და ტროცკისტები—ლენინიზმისა და მთელი საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრები. ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში ტროცკისტები ცდილობდნენ მოეხდინათ ლენინიზმის რევიზია, სახელი გაეტეხათ პარტიის კადრებისათვის, შეერყიათ მისი რიგების ერთიანობა, შეესუსტებინათ პარტიის კავშირი მუშათა კლასთან, ჩამოეშორებინათ ლენინელები საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობისაგან. ტროცკისტები ცდილობდნენ შეერყიათ პროლეტარიატის დიქტატურის საფუძვლები და ძირი გამოეთხარათ მათთვის. ტროცკის შემდეგ გამოვიდნენ სხვა ანტიპარტიული ჯგუფები: „მუშათა ოპოზიცია“, „დემოკრატიული ცენტრალისტები“, „მემარცხენე კომუნისტები“ ბუხარინის მეთაურობით“ და სხვ.

დისკუსია დაიწყო საკითხით პროფკავშირთა როლის შესახებ ახალ პირობებში, მაგრამ იგი შორს გასცდა ამ საკითხის ფარგლებს. ამხანაგმა სტალინმა „პრავდაში“ 1921 წლის 19 იანვარს გამოქვეყნებულ სტატიაში „ჩვენი უთანხმოებანი“ ცხადჰყო, რომ პარტიის ბრძოლა ტროცკისტებისა და სხვა ანტიპარტიული ჯგუფების წინააღმდეგ სწარმოებდა ძირითად პოლიტიკურ საკითხებზე. ყველა ფრაქციონერები, და უწინარეს ყოვლისა ტროცკისტები, უარჰყოფდნენ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას. ისინი არა სცნობდნენ გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირის ლენინურ-სტალინურ პოლიტიკას და ცდილობდნენ აემხედრებინათ გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ტროცკისტები პროვოკაციულ პოლიტიკას ეწეოდნენ მუშათა კლასის მიმართ, ცდილობდნენ ბრძანებისა და ადმინისტრირების მეთოდით გაეთიშათ მუშათა კლასი, დაეშალათ პროფკავშირები.

ლენინმა და სტალინმა შეაკავშირეს პარტიის მთელი ძალები და დარაზმეს ისინი ფრაქციული ანტიპარტიული ჯგუფების გასანადგურებლად. X ყრილობის გახსნის მომენტისათვის ყველა ძირითადი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ დადგა ლენინისა და სტალინის დროშის ქვეშ. X ყრილობამ შეაჯამა პროფკავშირების შესახებ დისკუსიის შედეგები და მოიწონა პროფკავშირების შესახებ ლენინური პლატფორმა, რომელიც ემყარებოდა სახალხო მეურნეობის აღდგენაში და ახალი საზოგადოების მშენებლობაში მუშათა კლასის ინიციატივის უაღრესად ფართოდ გაშლას.

ლენინის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი ისტორიული რეზოლუცია „პარტიის ერთიანობის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი პარტიის შინაპარტიული ცხოვრების საფუძვლები. ყრილობამ დაადგინა დაუყოვნებლივ დაშლილიყო უკლებლივ ყველა ფრაქციული ჯგუფი და დაავალა ცენტრალურ კომიტეტს „სრულიად მოესპო ყოველგვარი ფრაქციულობა“.

სპეციალურ რეზოლუციაში—„სინდიკალისტურ და ანარქისტულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში“, რომელიც ლენინმა შეიტანა, X ყრილობამ დაჰგმო „მუშათა ოპოზიცია“, გამოამჟღავნა მისი წვრილბურჟუაზიული კლასობრივი რაობა, რუსეთის კომუნისტური პარტიისადმი კუთვნილებასთან შეუთავსებლად გამოაცხადა „მუშათა ოპოზიციის“ იდეების პროპაგანდა.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ ყრილობაზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ანტიპარტიულ ელემენტებზე.

* * *

ლენინის გარდაცვალების შემდეგ მტრების იერიშები ბოლშევიკების პარტიის წინააღმდეგ უფრო გააფთრებული და თავხედური გახდა. ამხანაგ სტალინის დიდი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან მაღლა ასწია და წინ წაიღო ლენინიზმის უძლეველი დროშა, დარაზმა პარტიის მთელი ძალები ამ დიადი დროშის გარშემო, მიაღწია ტროცკისტების და სხვა იმ კაპიტულანტებისა და გამცემლების სრულ განადგურებას, რომლებიც შეეცადნენ გადაეყვანათ პარტია კაპიტალისტური რესტავრაციის გზაზე. ამხანაგმა სტალინმა განამტკიცა ბოლშევიკების პარტია — მუშათა კლასის ხელმძღვანელი რაზმი, საბჭოთა ხალხის მოწინავე ციხე-სიმაგრე.

„ტროცკისტებისა და მემარჯვენეების ყველა ანტიპარტიული ოინები, მთელი მათი „მუშაობა“ ჩვენი მთავრობის ღონისძიებათა საბოტაჟის დარგში ისახავდა ერთ მიზანს: ჩაეფუშათ პარტიის პოლიტიკა და შეეფერხებინათ ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საქმე. მაგრამ პარტია არ აჰყვა არც ერთთა მუქარას, არც მეორეთა გოდებას და მტკიცედ მიდიოდა წინ, მიუხედავად ყველაფრისა. პარტიის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ შეჰგუებია ჩამორჩენილებს, არ ეშინოდა ევლო დინების წინააღმდეგ და მუდამ ინარჩუნებდა წამყვანი ძალის პოზიციას. უეჭველია, რომ ასეთი სიმტკიცისა და გამძლეობის გარეშე კომუნისტური პარტია ვერ შესძლებდა დაეცვა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკა“ (ი. ბ. სტალინი).

ამხანაგ სტალინის გამჭრიახობისა და შეუდრეკელობის წყალობით პარტიამ დროულად მოსპო ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტები.

„ამხანაგმა სტალინმა და მისი ხელმძღვანელობით კომუნისტურმა პარტიამ თავისი სწორი პოლიტიკით დარაზმეს საბჭოთა ხალხი და იგი—საბჭოთა ხალხი—მძიმე ომს ეწეოდა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ უყოყმანოდ, წინასწარ გაანადგურა რა ისინი, ვინც მუხლით ხოხავდა ფაშისტების წინაშე და ვისაც განზრახვა ჰქონდა ზურგში დანა ჩაეცა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ომის მძიმე მომენტში“ (გ. მ. მალენკოვი).

განვლილი 25 წლის მანძილზე ბოლშევიკების პარტია კიდევ უფრო დაუახლოვდა ხალხის მასებს. X ყრილობის დროს პარტიაში 732 ათასი წევრი იყო. ახლა მის რიგებში 6 მილიონამდე კომუნისტია.

მაგრამ საქმე მარტო რაოდენობრივი მონაცემები როდია. პარტიის კავშირმა უპარტიოებთან ამ პერიოდში მიიღო ახალი ხასიათი, რაც გამოწვეულია სოციალისტური საზოგადოების ერთობლივი მეგობრული მშენებლობით, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სოციალისტური წყობილებისათვის, საბჭოების ხელისუფლებისათვის გმირული ბრძოლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის გამარჯვებამ განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადჰყო უდიდესი ნდობა, რასაც მთელი საბჭოთა ხალხი იჩენს ლენინ-სტალინის პარტიისადმი, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რაც შეუძლებელია ყველ სხვა ქვეყანაში, რომლებიც დაყოფილი არიან ჩაგრულთა და მჩაგვრელთა კლასებად.

აღნიშნავენ რა პარტიის X ყრილობის 25 წლისთავს, საბჭოთა ადამიანები უდიდესი მადლობით მიაპყრობენ თვალს ლენინისა და სტალინისადმი, ვისი გენიალური ხელმძღვანელობითაც პარტიის X ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებმაც შესანიშნავი როლი შეასრულეს საბჭოთა სახელმწიფოს და ბოლშევიკური პარტიის განმტკიცებაში.

**პროფესორი ი. ვოლკოვი**

# საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისათვის!

## მამაცი ქალიშვილი

მებრძოლები სულგანაბული იდგნენ და ბრძანებას ელოდნენ. პოდპოლკოვნიკმა გეშტოვტმა მწყობრიდან გამოიძახა მოხალისე წითელარმიელი ვენერა ადამია.

— ნეტავ რა ჩაიდინა ამ ქალიშვილმა? — გაიფიქრა ყველამ.

მაიორმა ერასტოვმა მეომრებს მოუთხრო ქართველი ქალის მამაცობაზე, გადასცა მას მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის", მადლობა გამოუცხადა და ხელი ჩამოართვა. ასევე მიულოცეს ვენერას და აღტაცებით ხელი ჩამოართვეს პოდპოლკოვნიკმა გეშტოვტმა, მაიორმა კისლიაკოვმა და ლეიტენანტმა შმაკოვმა.

კომკავშირელმა გოგონამ ვენერა ადამიამ თავი ისახელა ბელორუსიის პირველი ფრონტის ერთ-ერთ უბანზე.

ჩვენი ქვეგანაყოფი იერიშისათვის ემზადებოდა. პოდპოლკოვნიკმა ვენერა ადამიას საბრძოლო დავალება მისცა. ვენერა სწრაფად გატრიალდა დავალების შესასრულებლად. როგორც კი მიწურიდან ამოვიდა, სადაც მეთაურები თათბირობდნენ, იგი შესდგა, მიდამოს გადახედა. ზაფხულის ღამე იყო. ვარსკვლავები მკრთალ შუქს ჰფენდნენ დედამიწას.

ვენერას რაღაც მოესმა. თითქოს ფეხის ხმა იყო. მარჯვნივ გაიხედა. სიბნელეში მიწურის გვერდით ლანდები შენიშნა. ისინი მიწურს უახლოვდებოდნენ. მეომარმა ქალმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და ახლა უკვე კარგად გაარკვია, რომ მიწურს ორი შეიარაღებული გერმანელი ეპარებოდა.

ვენერას გული ისე აუძგერდა, თითქოს ამოვარდნას აპირებსო. მაგრამ უშიშარი კომკავშირელი ქალიშვილი არ დაიბნა.

— ხელები მაღლა! — შესძახა მან და რევოლვერი მოიმარჯვა.

გერმანელები, მიწურისაკენ ქურდულად რომ მოიპარებოდნენ, დაიბნენ, შეშინებულებმა წამსვე ხელები მაღლა ასწიეს. ხმაურზე მიწურიდან გამოცვივდნენ ჩვენი მებრძოლები. ვენერა ადამიამ მათ ჩააბარა ტყვეები. მამაცმა ქართველმა ქალიშვილმა საფრთხისაგან იხსნა მიწურში მყოფთა სიცოცხლე.

გულადობის გამოჩენისათვის ვენერა ადამია ნაწილის სარდლობამ ორდენზე წარადგინა, ხოლო პოდპოლკოვნიკმა გეშტოვტმა ვენერას დედას გაუგზავნა წერილი, რომელშიც ულოცავდა მისი გოგონას საბრძოლო წარმატებას და მადლობას უხდიდა, რომ ღირსეულმა ქართველმა დედამ სამშობლოს თავდადებული ქალიშვილი აღუზარდა.

პატრიოტი გოგონა ვენერა იაკობის-ასული ადამია დაიბადა 1921 წელს ქალაქ ცხაკაიაში. მამა მალე გარდაეცვალა და დედამ აღზარდა. სამამულო ომის მრისხანე წლებში ვენერა მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ქართველი გოგონას სახელი მალე ცნობილი გახდა კავშირგაბმულობის ბატალიონში, სადაც იგი მუშაობდა.

დღეს, მტერზე ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, მშვიდობიანი მშენებლობის ხანაში, ჩვენი ქვეყნის მშრომელები განსაკუთრებული სიყვარულით მოსავენ თავის ომგადახდილ შვილებს. ერთი მათგანია საბჭოთა საქართველოს ტოლი ვენერა ადამია, რომელმაც ასე ასახელა თავისი სამშობლო ქვეყანა.

**ალ. ჭუღნია**

## ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ორი წლის წინათ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ საზეიმოდ აღნიშნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ანა ივანეს-ასულ თულაშვილის მუსიკალურ-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავი. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ახლაც ენერგიულად მუშაობს.

მუსიკალურ-პედაგოგიური მუშაობა ანა თულაშვილმა ოცი წლის ასაკში დაიწყო. გარდა პედაგოგიური მუშაობისა, იგი მონაწილეობდა კონცერტებში, როგორც პიანისტი-სოლისტი, აგრეთვე კამერულ და კვარტეტულ ანსამბლებში. იმ დროის რეცენზიებში მრავალ აღფრთოვანებულ გამოხმაურებას ვხვდებით ნიჭიერი ქართველი მუსიკოსის წარმატებითი გამოსვლების შესახებ.

— მაგრამ ჩემი ენერგია, შემოქმედებითი შესაძლებლობანი გაიშალა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, — ამბობს ანა ივანეს-ასული. — წინათ ჩვენს ყოველგვარ თაოსნობასა და წამოწყებას სდევნიდნენ, რადგან არ სურდათ ხელოვნება ხალხისათვის მისაწვდომი გამხდარიყო. ახლა პარტია და ხელისუფლება ყოველგვარ პირობას გვიქმნიან ნაყოფიერი მუშაობისათვის.

1903 წლიდან დღემდე ა. თულაშვილი განუწყვეტლივ მუშაობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც პედაგოგის რთული გზის ყველა საფეხური განვლო. 1925 წელს კონსერვატორიის სამხატვრო საბჭომ ა. თულაშვილს მიანიჭა პროფესორის წოდება და „თავისუფალი მხატვრის" დიპლომი. 1929 წლიდან დღემდე იგი ფორტეპიანოს ფაკულტეტის დეკანია.

1941 წელს ნაყოფიერი შრომისათვის პროფესორ ა. ი. თულაშვილს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ა. ი. თულაშვილმა შექმნა თავისი საკუთარი პედაგოგიური სკოლა, რომელშიც აღზარდა მრავალი პიანისტი-პედაგოგი და ნიჭიერი შემსრულებელი.

— უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობ, როდესაც ნათლად ვხედავ ჩემი მუშაობის ნაყოფს, — ამბობს იგი. — ბევრი ჩემი მოწაფე მუშაობს ჩვენს კონსერვატორიაში დოცენტად, ასისტენტად და კონცერტმაისტერად.

კონსერვატორიის გარდა ა. ი. თულაშვილს ჩაბარებული აქვს დიდი და პასუხსაგები საქმე — თბილისის კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური ათწლედის ხელმძღვანელობა. ამ სასწავლებელში იზრდებიან ნიჭიერი ბავშვები. მათთვის შექმნილია ყველა პირობა ნიჭის გამოვლინებისა და დახელოვნებისათვის.

სიყვარულითა და მონდომებით მუშაობს ბავშვებთან პროფესორი ა. თულაშვილი. ის ცდილობს გადასცეს მათ მთელი თავისი ცოდნა დიდ კომპოზიტორთა ნააზრევის საუკეთესოდ გამოსახატავად. პროფესორ ა. თულაშვილის კლასში სწავლობენ ნიჭიერი ბავშვები ნ. ჩხეიძე, ე. დავლიანიძე, დ. სვასიანი და სხვები.

— განუზომელია ის სიხარული, რასაც ახლა ვგრძნობ, — ამბობს ა. თულაშვილი, — პარტიამ და მთავრობამ უმაღლესი ჯილდოთი — „საპატიო ნიშნის" ორდენით აღნიშნეს ჩემი შრომა. აღსავსე ვარ სურვილით — კიდევ უფრო ინტენსიურად და ნაყოფიერად ვემსახურო ჩვენს დიად სამშობლოს. უდიდესი ბედნიერებაა თავისუფლად იშრომო შენი ხალხის საკეთილდღეოდ.

**ლ. ბაგრატიონი**



თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკა. სურათზე: მესამე საამქროს მოწინავე აგრეგატი, რომელსაც ხელმძღვანელობს ქეთო შავლაყაძე (დგას ცენტრში). აგრეგატი საწარმოო დავალებებს სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს. ფოტო რ. აკოფოვისა

## ისინი სამშობლოს ძლიერებისათვის შრომობენ

საწარმოო დარბაზში საკერავი მანქანებია ჩამწკრივებული. მათთან ადამიანები სხედან. ყველა თავის საქმეს აკეთებს. საამქროდან განუწყვეტელ ნაკადად მოედინება გამოჭრილი ტანსაცმელი. აგრეგატის სათავესთან კომკავშირელი გოგონა თამარ მოგებაძეა. სისწრაფეს შეჩვეული მისი ხელი წამში სწვდება მოახლოებულ ნაჭერს, სწრაფად ატარებს მას საკერავ მანქანაში და პირველი ოპერაციის შემდეგ გვერდით მჯდომ ამხანაგს გადასცემს. ნაჭერი ყველა ოპერაციების შესრულების შემდეგ გამზადებული აგრეგატის ბოლოში აღმოჩნდება გამოცდილი ხელმძღვანელის ხელში.

აგრეგატის ხელმძღვანელობა პასუხსაგები საქმეა. ხელმძღვანელმა კარგად უნდა იცოდეს ტანსაცმლის შეკერვის ყველა ოპერაციათა „საიდუმლოება", უსათუოდ მაღალკვალიფიციური იყოს. სწორედ ასეთია ამ აგრეგატის ხელმძღვანელი ქეთო შავლაყაძე.

ქეთო შავლაყაძე ფაბრიკაში სამუშაოდ სამამულო ომის დაწყებამდე მოვიდა, სწრაფად დაეუფლა კერვის ოსტატობას და მოკლე დროში სახელი გაითქვა, როგორც მუყაითმა, დაკვირვებულმა მკერავმა. სამამულო ომის პერიოდში მას აგრეგატის ხელმძღვანელობა მიანდეს. ისიც მუდამ წარმატებით ასრულებდა დავალებებს და დაუზარებლად ასწავლიდა ახალ კადრებს.

სამამულო ომის დღეებში ფაბრიკაში სამუშაოდ მოვიდა კომკავშირელი ნათელა გოგიჯანაშვილი. უნარიანი ხელმძღვანელის დახმარებით ის მალე დაეუფლა მკერავის პროფესიას და ახლა გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. ასევე წარმატებით დაეუფლენ პროფესიას შავლაყაძის მოწაფეები თამარ მოგებაძე და ვერიკო რუსაძე.

თავდაუზოგავი შრომით მიდიოდა დრო. ახლოვდებოდა გამარჯვების ბრწყინვალე დღე. და როდესაც საბჭოთა ხალხმა მოისმინა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის მშობლიური ხმა ჩვენი გამარჯვების შესახებ, ახალი ძალით, ენერგიითა და ენტუზიაზმით გაჩაღდა შრომა ყველგან. მკერავებმა მოაწყეს სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების აღსანიშნავად საამქროებსა, აგრეგატებსა და ინდივიდუალურად ყველა მკერავს შორის. შეჯიბრებაში ერთ-ერთი პირველი ჩაება ქეთო შავლაყაძის აგრეგატი. მთელი კოლექტივი შეუსვენებლივ მუშაობდა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ხელმძღვანელმა ისე მოაწყო შრომა, რომ სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაათავისუფლა 8 მკერავი ქალი. მაღალი საწარმოო წარმატებებისათვის აგრეგატის კოლექტივს მთელი განვლილი 1945 წლის მეორე ნახევარში ხელთ ეპყრა ფაბრიკის გარდამავალი წითელი დროშა და არ დაუთმია საუკეთესო ახალგაზრდული აგრეგატის სახელი.

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ამაყობს ქეთო შავლაყაძის აგრეგატით.

ფაბრიკის კოლექტივი ამაყობს იმ სტახანოვური საამქროთიც, რომელსაც ოლღა ვაშაკიძე ხელმძღვანელობს. დიდი სამამულო ომის წლებში ამ საამქრომ მაღალნაყოფიერად და კარგად იმუშავა, შემტევ წითელ არმიასა და საბჭოთა ხალხს სისტემატურად აძლევდა პროდუქციას გეგმის გადამეტებით. საამქროს მოწინავე ქალებმა ალექსანდრა კემულარიამ, ელენე გულიაშვილმა, თინა კობერიძემ, ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელმა თამარ კაიშაურმა შრომითი თავდადების საუკეთესო მაგალითები მოგვცეს. მათ საგრძნობი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ ფაბრიკამ გასულ წელს გეგმის გადამეტებით სამშობლოს 1.245.000 მანეთის პროდუქცია მისცა. ომის დამთავრების პირველი დღეებიდანვე საამქროს კოლექტივი გადავიდა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებაზე. ბოლო დროს საამქროს ორი ახალი აგრეგატი შეემატა. მარტო ეს აგრეგატები ამჟამად საბავშვო და ქალის ტანისამოსის მრავალ ათეულ კომპლექტს იძლევიან. მაღალნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი თამარ კაიშაური ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა დღიურ დავალებებს სისტემატურად 125-130 პროცენტით ასრულებს.

საამქრო, რომელსაც ოლღა ვაშაკიძე ხელმძღვანელობს, დღესაც პირველ ადგილზეა ფაბრიკაში. ამ საამქროს კოლექტივმა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საბჭოთა საქართველოს XXV წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. იანვრის საწარმოო დავალება მან 205,3 პროცენტით შეასრულა. ასევე წარმატებით იმუშავა საამქრომ თებერვალში. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი პროდუქცია. საამქროში ბლომად ჰყავთ მოწინავე ადამიანები. მათ შორის ხუთასოვნები: ნინო ზარქუაშვილი, ლიდა ბეროზაშვილი; მელანია ხუციშვილი; სამასოვნები: ელენე რევაზიშვილი, ფაცია ბოსიკაშვილი, კომკავშირელი გოგონები მარიამ ციხიშვილი, თამარ კიკნაძე, თამარ კირვალიძე და სხვ.

დიდი სტალინის ისტორიულმა წინასაარჩევნო სიტყვამ აღაფრთოვანა ახალი შრომითი თავდადებისათვის მკერავი ქალები. საყვარელი ბელადის მითითებათა შესრულებისათვის არის გაჩაღებული ენტუზიაზმით აღსავსე შრომა თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაშიც.

**ლ. სარჯველაძე**

## ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე

„ჩემი გული ზღვა მადლობის გრძნობით არის აღსავსე. დღეს გავიგე, რომ ჩემი ტოლია თქვენთან იმყოფება. თქვენი სახით საბჭოთა მთავრობამ გამოხატა ზრუნვა ბავშვებისადმი. მიიღეთ მხურვალე მადლობა ჩემი შვილისადმი დედობრივი მზრუნველობის გამოჩენისათვის" — სწერდა 1942 წელს ფრონტელი პროკუდინი თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის დირექტორს, პროფესორ მარიამ ქრისტეფორეს-ასულ უგრელიძეს.

ერთი წლისაც არ იყო სმოლენსკელი ტოლია პროკუდინი, როდესაც ჩვენს სამშობლოს თავს დაესხა ვერაგი მტერი. უდედოდ დარჩენილ ტოლიას მამა ზრდიდა, მაგრამ ახლა სამშობლო შველას ითხოვდა. ფრონტზე წავიდა ტოლიას მამა. ბავშვი თბილისში ჩამოიყვანეს და ქალაქის ჩვილ ბავშვთა სახლში მოათავსეს. ტოლიას გარდა აქ იმყოფებოდა ასობით ბავშვი, რომლებმაც დედ-მამისა არაფერი იცოდნენ, მაგრამ მშობლიური მზრუნველობა არ აკლდათ. ამაში დიდია ბავშვთა სახლის დირექტორისა და მთავარი ექიმის მ. უგრელიძის დამსახურება.

ახალგაზრდა იყო მარიამი, როდესაც ოდესაში საექიმო ხარისხზე დიპლომი დაიცვა. ნიჭიერმა ქალმა პროფესორ გ. გოგიტიძესთან დაიწყო მუშაობა ორდინატორის თანამდებობაზე. ეს იყო ადრე, ოქტომბრის რევოლუციამდე. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა ექიმმა თბილისს მოაშურა და პირველ საავადმყოფოსთან არსებულ ბავშვთა განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. მალე მ. უგრელიძე მიწვეულ იქნა ოდესიდან ჩამოსული პროფესორ გ. გოგიტიძის მიერ ჩამოყალიბებულ ბავშვთა კლინიკაში ასისტენტად. აქედან იწყება მისი მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობა, როგორც სამეცნიერო-საკვლევ, ისე ახალგაზრდა კადრების აღზრდის დარგში. 1927 წლიდან იგი დაუღალავად მუშაობს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე პედიატრიული კადრების აღზრდისათვის, ხოლო შემდეგ ხელმძღვანელობს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პედიატრიულ კათედრას. მისი აღზრდილი მრავალი მოწაფე სამედიცინო დარგის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს.

აღსანიშნავია პროფესორ უგრელიძის მოღვაწეობა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკურ ინსტიტუტში, სადაც იგი დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში. მისი ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები დედათა და ბავშვთა დაავადების გამოკვლევის მიზნით.

40-დე სამეცნიერო შრომის ავტორია პროფესორი მარიამ ქრისტეფორეს-ასული უგრელიძე. აღსანიშნავია მისი სადისერტაციო შრომა: „ქართველ, სომეხ და რუს ახლადდაბადებულთა ფიზიკური მდგომარეობის გამოკვლევა", რომლითაც მან 1930 წელს ბრწყინვალედ დაიცვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ერთ-ერთი თავისი შრომით „ბავშვთა მკურნალობა ღია ჰაერით" პროფესორმა უგრელიძემ პირველმა შემოიტანა საქართველოში ჯირკვლებით დაავადებულ ბავშვთა მკურნალობა ჰაერის საშუალებით. ბევრი შრომა აქვს მას რაქიტზე.

ნაყოფიერად მუშაობდა პროფესორი უგრელიძე სამამულო ომის წლებში. ჩვილ ბავშვთა სახლში და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტში პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად იგი დიდ სამეცნიერო-საკვლევ მუშაობასაც ეწეოდა. მან გამოაქვეყნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი შრომები, რომლებმაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით სამედიცინო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ძველი ქართული მედიცინის შესწავლის საფუძველზე ომის წლებში პროფესორმა უგრელიძემ გამოაქვეყნა შრომა „კუჭ-ნაწლავის აშლილობის ხილით მკურნალობის შესახებ". გარდა ამისა, პროფესორ გ. ნაზარიშვილთან ერთად მას ეკუთვნის წიგნი „ომიანობის პერიოდის ბავშვთა ფიზიკური განვითარების შესახებ". ომის პერიოდში უგრელიძემ გამოაქვეყნა აგრეთვე ღირსშესანიშნავი შრომები ჩირქოვანი მენინგიტის შესახებ.

პროფესორ მარიამ უგრელიძის მრავალმხრივი ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა ხალხმა ღირსეულად დააფასა. საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავზე საქართველოს სს რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1943 წელს იგი დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის" ორდენით, ხოლო საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავზე — შრომის წითელი დროშის ორდენით.

პროფესორი მ. უგრელიძე კვლავ ენერგიულად მუშაობს ბავშვების — ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობის დაცვისათვის.

**მ. ვარდოსანიძე**

## დედის სიხარული

უნებლიეთ წარსულს ვავლებ თვალს. ჩემს წინაშე ბევრი მწარე დღე იხატება. წყეული, უკუღმართი დრო იყო. წვითა და დაგვით ვზრდიდი 15 შვილს. ვინ მოიგონებს ყველაფერს... რამდენჯერ გამხდომია ავად შვილი! რამდენი ღამე გამითენებია თეთრად, უძილოდ! სამი შვილი კიდეც გამომეცალა ხელიდან. მაშინ დედებზე, ბავშვებზე არავინ ზრუნავდა. საექიმო დახმარება და წამალიც არ იყო ჩვენთვის ხელმისაწვდომი.

წარსულს ჩაბარდა ყოველივე ეს. მხოლოდ მწარე მოგონებაღა დაგვრჩა ძველი ცხოვრების უკუღმართობაზე. საბჭოთა ხელისუფლებამ ქალს ფართოდ გაუღო ბედნიერების კარები. დაფასდა ქალი მშრომელი, ქალი დედა.

საბჭოთა მთავრობის დახმარებით 12 შვილი გამოვზარდე. ყველამ განათლება შეიძინა, სხვადასხვა პროფესია შეისწავლა. ერთმა ლენინგრადის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი დაამთავრა.

მძიმე დღეებში, როცა ჩვენს ბედნიერებას ფაშისტი ბარბაროსები დაემუქრნენ, შვიდი ვაჟკაცი და ერთი ქალიშვილი გავისტუმრე სამშობლოს დასაცავად. გზა დავულოცე მათ. ვწუხდი შვილების მოშორებას, მაგრამ ამავე დროს გული სიამაყის გრძნობით მევსებოდა ჩემი შვილები განსაცდელში მყოფ სამშობლოს რომ გამოადგნენ.

ჩემმა შვილებმა არ შემარცხვინეს. მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე, მამაცურად იცავდნენ მშობლიურ კავკასიას, დიდი საბჭოთა კავშირის მიწა-წყალს, იბრძოდნენ მტრის ტერიტორიაზე. ამით ისინი იცავდნენ ბედნიერ ცხოვრებას, ჩვენს თავისუფლებას, მშრომელი ქალისა და დედის უფლებებს.

ჩემი ხუთი ქალიშვილი ზურგში თავდადებულად შრომობდა გამარჯვებისათვის.

დიდი სამამულო ომი დამთავრდა. გამარჯვებული დამიბრუნდნენ შვილები. ახლა ისინი მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად თავდადებულად იბრძვიან საბჭოთა სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის.

ბედნიერი ვარ, რომ ქვეყნისათვის სასარგებლო შვილები გავზარდე. ყველაზე დიდი სიხარული ჩემთვის ის არის, რომ საბჭოთა მთავრობამ გმირი დედის საპატიო სახელი მომანიჭა. დედისადმი მზრუნველობის ამაზე უკეთესი ფაქტი სადღა იქნება.

კარგ დროს მოვესწარ, მშრომელ ქალთა საუკუნეობრივ ოცნებას ფრთები შეესხა. ამას ჩვენ ლენინ-სტალინის პარტიას, დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს ვუმადლით. მადლობა მათ მშრომელი ქალის დაფასებისათვის.

**ბარბარე ბახტაძე**
გმირი დედა

## მთამსვლელი ქალები

საქართველო საბჭოთა ალპინიზმის სამშობლოა. საბჭოთა კავშირში პირველად აქ, 1923 წელს ჩაისახა საბჭოთა მთასვლური მოძრაობა, ჩაეყარა საფუძველი მთასვლურ სპორტს.

პირველ მთამსვლელთა შორის, რომელნიც პროფესორ გიორგი ნიკოლაძესთან ერთად 1923 წლის აგვისტოში მყინვარწვერზე ავიდნენ, იყვნენ მთამსვლელი ქალები — ასმათ ნიკოლაიშვილი, ელიკო ლორთქიფანიძე, მარო ბეჟანიშვილი, მარო ტყავაძე და ლიდა ჩხეიძე. რამდენიმე დღით გვიან აკადემიკოს ალ. დიდებულიძის ექსპედიციასთან ერთად მყინვარწვერზე ავიდა ალექსანდრა ჯაფარიძე, დღეს სპორტის დამსახურებული ოსტატი და რამდენიმე ათეული მწვერვალის დამპყრობი.

ალექსანდრა ჯაფარიძე 23 წელიწადია დაუღალავად მუშაობს ალპინიზმის სარბიელზე. მან მიიღო მონაწილეობა პირველ საბჭოთა ასვლაში მწვერვალ უშბაზე, შანზე, თეთნულდზე და სხვ. იგი ერთადერთი ქალი მონაწილე იყო კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის ტრავერსისა, რომელიც საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეკორდს წარმოადგენს. მან შესძლო გადაელახა ყველა სიძნელე და დაბრკოლება, გადაევლო კავკასიონის ქედის უმაღლესი ნაწილის უძნელესი მწვერვალები — აილამა, წურუნგალი, ნამყვამი და, ბოლოს, კავკასიონის ქედის ყველაზე მაღალი და ძნელი მწვერვალი შხარა (5.200 მეტრი). ალ. ჯაფარიძემ თავისი შესანიშნავი ასვლებით საბჭოთა კავშირის საუკეთესო მთამსვლელი ქალის სახელი დაიმსახურა. ამავე დროს იგი არ ივიწყებდა თავის ძირითად საქმიანობას — მეტეოროლოგიას და სამთო რაიონების სინოპტიკურ მომსახურებაში მნიშვნელოვან სამუშაოს ეწეოდა. მთიანი რაიონების მეტეოროლოგიურ და კლიმატურ თავისებურებათა შესანიშნავი ცოდნა საშუალებას აძლევდა მას წარმატებით შეესრულებინა ამიერკავკასიის ფრონტის დავალებანი. ამ მუშაობისათვის ალ. ჯაფარიძე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.

განვლილ პერიოდში ბევრი ნიჭიერი და შესანიშნავი მთამსვლელი ქალი გაიზარდა. მნიშვნელოვან სპორტულ წარმატებებს მიაღწიეს თბილისელმა მთამსვლელებმა თინა ავალიანმა, ვერა ბელეცკაიამ, ვალია ნასონოვამ, ნატო ცნობილაძემ.

გეოლოგი თინა ავალიანი საქართველოს კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის ასისტენტია. მას აქვს თხუთმეტამდე ასვლა ყაზბეგის რაიონის, აფხაზეთისა და ზემო სვანეთის მწვერვალებზე. იგი მონაწილეა ბერიას სახელობის პიკზე (ყაზბეგის რაიონი) პირველი ასვლისა, ხელმძღვანელობდა რამდენიმე ასვლას მყინვარწვერზე, ბანგურიანზე, კლიჩ-ყარა-ყაიაზე, თეთნულდზე. შესრულებული აქვს ასვლები მესამე კატეგორიის სიძნელის მწვერვალებზე — ჯიმარაიზე, სვეტღარზე, გალი-თაუზე.

ვერა ბელეცკაია — ნიჭიერი მხატვარი-გრაფიკოსი — მონაწილეა მრავალი ასვლისა ზემო სვანეთში, მთა-თუშეთში, ხევსურეთში, ხევში.

ნატო ცნობილაძე ალპინიზმის ინსტრუქტორი და მრავალმხრივი სპორტსმენია. კარგად იცნობს კავკასიონის ქედის სხვადასხვა რაიონებს. მან მოახდინა ასვლები ისეთ მწვერვალებზე, როგორიცაა სვეტღარი, ორთა-ყარა (ზემო სვანეთი), ჭაუხი, კიდეგანის — მაღალი (ხევსურეთი) და სხვა. სამამულო ომის წლებში იგი მუშაობდა წვევამდელთა ტექნიკურ მომზადებაზე. მთამსვლელ ქალებთან — დენეზა გოზალიშვილთან, ეთერ ფალიაშვილთან, ნათელა ყირქესალაშვილთან და სხვებთან ერთად მან რამდენიმე ათას სამთო მსროლელს შეასწავლა მთაში მოძრაობის და მოქმედების ტექნიკა.

მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევებისათვის თ. ავალიანი, ნ. ცნობილაძე, ვ. ნასონოვა და ვ. ბელეცკაია ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა „სსრ კავშირის ალპინისტის" მე-2 საფეხურის ნიშნებით დააჯილდოვა.

სამამულო ომის წლებში მთამსვლელი ქალები თავგამოდებით შრომობდნენ ზურგში და იბრძოდნენ ფრონტზე. ორგზის ორდენოსანმა მთამსვლელმა ექიმმა თამარ გოთუამ კავკასიის მთებში მიღებული გამოცდილება შორეულ კარპატებში გამოიყენა. ექიმი ცაცა ღლონტი მუშაობდა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე და ალპინიზმში მიღებულ ჩვევებს — სიმტკიცესა და გამბედაობას — ახალ სარბიელზე იყენებდა.

ომის წლებში ბევრი ახალგაზრდა მთამსვლელი ქალი დაწინაურდა. მათ შორის კარგ სპორტულ შედეგებს მიაღწიეს სტუდენტმა-გეოგრაფებმა მარინე ურთმელიძემ და ნელი ანჯაფარიძემ, გეოგრაფმა ქეთო თიგიშვილმა, სტუდენტმა-გეოლოგებმა ნუნუ კოტრიკაძემ და თამარ ხომასურიძემ. საჭირო და მნიშვნელოვან სამუშაოს ეწევიან მთამსვლელი ქალები საბავშვო ალპინიზმისა და ტურიზმის დარგში. მათ შორის უნდა დავასახელოთ ალპინიზმის ინსტრუქტორი ს. ბეი-მამიკონიანი, მთამსვლელები — მ. ქელბაქიანი, ა. ბარქაია, ნ. თოფურიძე, ლ. პაიჭაძე, თ. ისაკოვა, ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა სასახლის ალპინიზმისა და ტურიზმის კაბინეტის გამგე მ. ერისთავი და სხვ. მათი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ყოველწლიურად ეწყობა ნორჩ მთამსვლელთა მოგზაურობა საქართველოს მთიან რაიონებში.

მრავალმხრივი და წარმტაცია ის მუშაობა, რომელსაც საქართველოს მთამსვლელი ქალები ეწევიან. რევოლუციამდე ცნობილი მთამსვლელი მარიამ პრეობრაჟენსკაია ერთადერთი ქალი იყო, რომელიც მყინვარწვერზე ავიდა და საერთო გაკვირვება და აღტაცება გამოიწვია. ახლა საბჭოთა კავშირში მრავალი ასეული მთამსვლელი ქალი ყოველ წელს მრავალ შესანიშნავ ასვლას ახდენს, მათ შორის ქართველ მთამსვლელ ქალებს საპატიო და მოწინავე ადგილი უჭირავთ.

**კ. ჯავრიშვილი,**
საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარის მოადგილე

# მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

## 20 თებერვლის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი,** 20 თებერვალი. (საკდესი). 20 თებერვლის საღამოს სხდომაზე ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელი ამხ. შეინინი განაგრძობდა ტრიბუნალისათვის სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიისა და საბერძნეთის ტერიტორიებზე გერმანელ ფაშისტთა არმიების მიერ ჩადენილი ძარცვისა და მაროდიორობის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას.

ბრალმდებელმა ტრიბუნალს წარუდგინა მთელი რიგი გერმანული დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ გერმანიის არმიას. გერმანელ ფაშისტთა ჯარები იმ ზომამდე გაიხრწნენ, რომ თვითონ ჰიტლერული ხელისუფალნი იძულებული გახდნენ დაეწყოთ ჩივილი საკუთარი ჯარისკაცების ყოფაქცევაზე, რომლებიც გერმანულ ქონებასაც კი იტაცებდნენ.

ადვილი წარმოსადგენია, ამბობს ბრალმდებელი, თუ როგორ ეპყრობოდნენ ეს ჯარისკაცები საბჭოთა მცხოვრებლების და საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა საკუთრებას.

ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ ჰიტლერელები დაუნდობლად ძარცვავდნენ უკრაინას. უკრაინის საიმპერიო კომისარი მტკიცედ ახორციელებდა უკრაინის ულმობელი ძარცვის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა სავსებით მოიწონა ჰიტლერულმა მთავრობამ. პრაქტიკულად ძარცვა მიმდინარეობდა გერინგის „მწვანე ყდაში" მოყვანილ მითითებათა სრული შესაბამისობით. 1941 წლის 6 სექტემბერს გერინგი სწერდა: „სამხედრო წესები მოითხოვენ, რომ ახლად დაკავებულ აღმოსავლეთ ოლქებში აღმოჩენილი ნედლეულის მარაგი ფრიად სასწრაფოდ გადაეცეს გამოსაყენებლად გერმანიის სამხედრო მრეწველობას".

შემდგომ, განაგრძობს ბრალმდებელი, როცა მთელ რიგ ოკუპირებულ ოლქებში და, კერძოდ, უკრაინაში გერმანელებმა შექმნეს თავიანთი ეგრეთწოდებული სამოქალაქო ადმინისტრაცია და ჩამოაყალიბეს მთელი რიგი სპეციალური სამეურნეო საზოგადოებანი, დაიწყო კინკლაობა მრავალ გერმანულ სამხედრო და სამოქალაქო ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის, რომელთაგან თვითეული ოკუპირებული ოლქების ძარცვას ეწეოდა. ამხ. შეინინი აცხადებს და ტრიბუნალს გადასცემს, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, ხშირ მიმოწერას როზენბერგის უწყებასა და სამხედრო ხელისუფალთ შორის იმის შესახებ, თუ ვის უნდა მისცემოდა უპირატესობა საბჭოთა ტერიტორიების ძარცვის საქმეში. როზენბერგმა პირადად მისწერა გერინგს რამდენიმე წერილი, რომლებშიც ამტკიცებდა, რომ სასურველი იყო ოკუპირებული ტერიტორიების მთელი სამეურნეო მართვა-გამგებლობა გადასცემოდა მის სამინისტროს და მის მიერ დანიშნულ საიმპერიო კომისრებს.

წითელმა არმიამ ხელი შეუშალა ჰიტლერელ მძარცველებს დაემთავრებინათ ეს დავა.

შემდეგ ბრალმდებელს მოჰყავს ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ჰიტლერელთა თავაწყვეტილ ძარცვას ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებში.

კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების დატაცების ასეთსავე პოლიტიკას გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები, დაასკვნის ბრალმდებელი, ეწეოდნენ ბელორუსიის, მოლდავეთის და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკებისა და რსფს რესპუბლიკის ოკუპირებულ ოლქებში. გერმანელ ფაშისტთა სხვადასხვა სამხედრო შენაერთები და ორგანიზაციები სსრ კავშირის სხვადასხვა რაიონებში და ომის სხვადასხვა პერიოდებში მოქმედებდნენ ერთი და იმავე მძარცველური მეთოდებით, ერთი და იმავე დანაშაულებრივი გეგმით, ერთი და იმავე დანაშაულებრივი მიზნით. ეს გეგმა შეიმუშავეს, ეს მიზანი განსაზღვრეს, ეს დანაშაულობანი მოაწყეს მთავარმა სამხედრო დამნაშავეებმა, რომლებიც ბრალდებულთა სკამებზე სხედან.

ბრალმდებელმა სასამართლოს წარუდგინა საგანგებო სახელმწიფო კომისიის ცნობა „სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, კოლმეურნეობებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების მიერ მიყენებული მატერიალური ზარალის შესახებ", საიდანაც მან გამოაქვეყნა ფაშისტური ძარცვისა და მაროდიორობის შემაძრწუნებელი შედეგები.

ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და ცალკეულ სოფლელ და ქალაქელ მცხოვრებთათვის მიყენებული ზარალი უდრის 679 მილიარდ მანეთს 1941 წლის სახელმწიფო ფასებით. სახელმწიფო საწარმოებს და დაწესებულებებს მოუვიდათ 287 მილიარდი მანეთი ზარალი, კოლმეურნეობებს — 181 მილიარდი მანეთი, სოფლებისა და ქალაქების მცხოვრებთ — 192 მილიარდი მანეთი და კოოპერატიულ, პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — 19 მილიარდი მანეთი.

ბრალმდებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა დასწვეს და დაანგრიეს 4 მილიონამდე საცხოვრებელი სახლი, რაც წარმოადგენდა კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირად საკუთრებას, ჩამოართვეს მათ 1,5 მილიონი ცხენი, 9 მილიონი სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 12 მილიონი ღორი, 13 მილიონი ცხვარი და თხა, აგრეთვე ჩამოართვეს დიდძალი ყოველგვარი საოჯახო ქონება.

ბრალმდებელმა სასამართლოს გადასცა ჰიტლერის 1941 წლის 29 ივნისის ბრძანებულება, რომლითაც მან გერინგი დანიშნა ერთგვარ სამეურნეო დიქტატორად ოკუპირებული აღმოსავლეთი ოლქების ძარცვის დარგში.

მაგრამ, ამბობს ბრალმდებელი, განსაკუთრებული რწმუნება, რაც გერინგს მიენიჭა, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ბრალდებულნი პასიურად მონაწილეობდნენ ოკუპირებული ტერიტორიების ძარცვის მოწყობაში. ყველა ისინი ერთად და თვითეული ცალკე გაცხარებულ საქმიანობას ეწეოდნენ ამ მიმართულებით. ფრანკი ძარცვავდა პოლონელ ხალხს, როზენბერგი თარეშობდა უკრაინასა და სსრ კავშირის სხვა ოკუპირებულ რაიონებში, ზაუკელი და ზაის-ინკვარტი მოქმედებდნენ აქაც და იქაც, შპეერი და ფუნკი მძარცველურ ღონისძიებებს ადგენდნენ და ახორციელებდნენ მეურნეობისა და შეიარაღების სამინისტროების ხაზით და სხვა. კაიტელი შეიარაღებული ძალების ხაზით მოქმედებდა.

შემდეგ ბრალმდებელმა გამოაქვეყნა კაიტელის მიერ ხელმოწერილი ორი დოკუმენტი, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ კაიტელი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის ოკუპირებული რაიონების ძარცვაში. 1944 წლის 8 სექტემბერს კაიტელმა ბრძანება მისცა არმიის გენერალურ შტაბს, ჩრდილოეთისა და ცენტრალური ფრონტების მთავარსარდლებს, „ოსტის" ეკონომიურ შტაბს და პირველ სამხედრო ოლქს ყოველმხრივ შეეწყოთ ხელი უკრაინის ცნობილ ჯალათ კოხისათვის საბჭოთა ტერიტორიების ძარცვის დროს. ამრიგად, ხაზგასმით აღნიშნავს შეინინი, 1944 წლის დამლევსაც კი, როცა წითელი არმიისა და მისი მოკავშირეების დარტყმების გამო ჰიტლერული გერმანია სწრაფად მიექანებოდა თავისი საბოლოო დამარცხებისაკენ და როცა სულ რამდენიმე თვეღა იყო დარჩენილი მის სრულ სამხედრო და პოლიტიკურ კრახამდე, ჰიტლერი, კაიტელი, კოხი და მრავალი სხვანი ჯერ კიდევ ეპოტინებოდნენ სხვის საკუთრებას, სხვის დოვლათს.

ბრალმდებელმა სასამართლოს წარუდგინა ოკუპირებული ოლქების საიმპერიო კომისრებთან და სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებთან სასურსათო მდგომარეობის შესახებ გერინგის საიდუმლო თათბირის სტენოგრაფიული ანგარიში. ეს ანგარიში 1942 წლის 6 აგვისტოს შემდგარი თათბირის შესახებ წითელი არმიის ნაწილებმა იპოვნეს გერმანიის ქალაქ ილენის ერთ-ერთ სახლში. ამ თათბირზე გერინგმა სთქვა: „თქვენ გაგზავნილი ხართ იქ არა იმისათვის, რომ იმუშაოთ თქვენთვის ჩაბარებული ხალხების საკეთილდღეოდ, არამედ იმისათვის, რომ შეაგროვოთ, რის შეგროვებაც შეიძლება. ამას მოველი თქვენგან. მე გაიძულებთ შეასრულოთ მოწოდებანი, რომლებსაც მე გაკისრებთ. თუ ამის შესრულება ვერ შესძელით, მაშინ ფეხზე დავაყენებ იმ ორგანოებს, რომლებიც ყველა გარემოებაში გაგაკეთებინებენ ამას, მიუხედავად იმისა, მოგწონთ თუ არა ეს თქვენ".

საბჭოთა ოკუპირებულ ტერიტორიებზე წარმოებული მძარცველური პოლიტიკის შესახებ გერინგმა სთქვა: „აქ ჩვენ და არმიას სრული თანხმობა გვაქვს. არმია უარს ამბობს იმ პრეტენზიებზე, რომლებსაც იგი სამშობლოს უყენებდა. არმიის ამ უზრუნველყოფას არაფერი დაემატება, შეიძლება მხოლოდ ის დაემატოს, რომ შემდგომში აღარ მსურს რაიმე პრეტენზია მოვისმინო თქვენგან. ეს არაჩვის, ვაშლისა და თეთრი პურის ქვეყანა შესძლებს ჩვენს გამოკვებას".

გერინგმა განაგრძო: „ახლა რუსეთის შესახებ. მისი მინდვრების ნაყოფიერება არავითარ ეჭვს არ იწვევს. იმის წარმოდგენაც კი ძნელია, თუ რა კარგია იქ! იმედი მაქვს, რომ მალე გვექნება თევზის საბოლავები და შევძლებთ უდიდესი რაოდენობით შევბოლოთ აზოვისა და კასპიის ზღვების უამრავი თევზი". მიმართა რა გენერალ ვაგნერს, გერინგმა სთქვა: „ხიზილალას შუა გავიყოფთ. ნახევარი არმიას და ნახევარი სამშობლოს, — რა თქმა უნდა, როგორც კი მივალთ იქ".

თავისი სიტყვის დასასრულს გერინგმა მუქარის კილოთი გააფრთხილა თავისი სატრაპები, რომ იგი მათგან მოელის ყველა ოკუპირებული ტერიტორიის ბეღლებისა და საწყობების საფუძვლიან **გაწმენდას**.

**აჯამებს რა ზემოთ** ნათქვამს და განაზოგადებს რა გამოქვეყნებულ დოკუმენტებს, ბრალმდებელი ამბობს, რომ დანაშაულებრივმა ჰიტლერულმა მთავრობამ და გერმანიის არმიის უმაღლესმა სარდლობამ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, საბერძნეთისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის წინასწარ მომზადებასთან ერთად, აგრეთვე წინასწარ შეიმუშავეს ამ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების მასობრივი ძარცვა-დატაცების გეგმა. ამ წინასწარშემუშავებული გეგმის შესაბამისად ჰიტლერელმა ხელისუფლებმა განახორციელეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრების საშინელი ძარცვა-დატაცება, ამასთან გამოიყენეს განსაკუთრებული მხეცობა, ძალადობა და თვითნებობა. ომით გერმანიის არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ეგრეთწოდებული „მატერიალური დაინტერესებისათვის" შეთქმულები არა მარტო დაუსჯელად სტოვებდნენ გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მაროდიორობისა და ძარცვის ფაქტებს, არამედ, პირიქით, ფართოდ აქეზებდნენ ამ დანაშაულობებს და მათს მასობრივ შესრულებას. ბრალდებულნი წინასწარი განზრახვით და შეგნებულად არღვევდნენ ომის კანონებსა და ადათებს, სისხლის სამართლის საერთო პრინციპს, რაც მიღებულია ყველა ცივილიზებული ერის სისხლის სამართლის კანონებით, აგრეთვე იმ ქვეყნების ნაციონალურ უფლებას, რომლებშიც ეს დანაშაულობანი ჩადენილია. ეს დანაშაულებრივი ქმედობანი თვითეული ცალკე და ყველა ერთად გათვალისწინებულია საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-6 მუხლით. რაშიც ყველა ბრალდებული დამნაშავედ ცნობილი უნდა იქნას და რისთვისაც უკლებლივ ყველამ ინდივიდუალურად და როგორც შეთქმულების მონაწილემ პასუხი უნდა აგოს.

ბრალმდებელ ამხ. შეინინის სიტყვით დამთავრდა საღამოს სხდომა.

## 21 თებერვლის დილის სხდომა

**ნიურნბერგი,** 21 თებერვალი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომა იხსნება ბრალდების საბჭოთა წარმომადგენლის ამხ. რაგინსკის სიტყვით. ის ადგენს ბრალდებულთა დანაშაულობის დოკუმენტალურ დამამტკიცებელ საბუთებს შემდეგი თავის მიხედვით: „კულტურულ და სამეცნიერო ფასეულობათა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა, მონასტრების, ეკლესიებისა და რელიგიური კულტის სხვა დაწესებულებათა დანგრევა და გაძარცვა, აგრეთვე ქალაქებისა და სოფლების დანგრევა".

ჰიტლერელ შეთქმულთა მიერ ჩადენილ იმ მრავალრიცხოვან და უმძიმეს სამხედრო დანაშაულობათა შორის, ამბობს ბრალმდებელი, რომლებიც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი საბრალდებო აქტის მესამე ნაწილში, განსაკუთრებული ადგილი უკავიათ დანაშაულობებს კულტურის წინააღმდეგ. ამ დანაშაულობებში გამოვლინდა გერმანიის ფაშიზმის მთელი ვანდალიზმი. ჰიტლერელები ოცნებობდნენ დაებრუნებინათ ევროპაში ჰუნებისა და ტევტონების ბატონობის დრო. ისინი ცდილობდნენ კაცობრიობა მიებრუნებინათ უკან. ჰიტლერი ამბობდა: „ჩვენ ბარბაროსები ვართ, და ჩვენ გვსურს ბარბაროსები ვიყოთ. ეს საპატიო სახელწოდებაა".

ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირზე ვერაგულ თავდასხმამდე დიდი ხნით ადრე ძარცვისათვის ემზადებოდა ეგრეთწოდებული „როზენბერგის აინზატცშტაბი". ბრალდებულ როზენბერგის მძარცველური მოღვაწეობა კოორდინირებული იყო გერინგის, ჰაიდრიხისა და გერმანიის უმაღლესი სარდლობის საქმიანობასთან.

„როზენბერგის აინზატცშტაბი" და ამ შტაბის უფროსი უტიკალი წარმოადგენდნენ ცენტრს, რომელიც ახდენდა მრავალი იმ მძარცველური ორგანიზაციის ბოროტი საქმიანობის კოორდინაციას, რომელთა სულისჩამდგმელი და გეზის მიმცემი იყვნენ ჰიტლერული მთავრობა და გერმანიის უმაღლესი სამხედრო სარდლობა.

საყოველთაო ძარცვას სსრ კავშირის დროებით ოკუპირებულ რაიონებში, რაც გერმანიის მთავრობის პირდაპირი ბრძანებით სწარმოებდა, ხელმძღვანელობდნენ არა მარტო გერინგი, როზენბერგი და მათთვის დაქვემდებარებული სხვადასხვა „შტაბები" და „რაზმები". ამასვე ეწეოდა „სპეციალური ფორმირების" საშუალებით საგარეო საქმეთა სამინისტროც, რომელსაც რიბენტროპი მეთაურობდა.

ასეთი ფორმირების, ეგრეთწოდებული „რიბენტროპის ბატალიონის" შექმნას, აგრეთვე სსრ კავშირის ტერიტორიაზე კულტურულ ფასეულობათა გაძარცვისათვის მის პრაქტიკულ საქმიანობას ადასტურებს თავის 1942 წლის 10 თებერვლის წერილობით განცხადებაში სს-ის ობერშტურმფიურერი დოქტორი ფორსტერი, რომელიც წითელი არმიის ნაწილებმა ტყვედ ჩაიგდეს მოზდოკის რაიონში. დოქტორი ფორსტერი მსახურობდა ეგრეთწოდებულ რიბენტროპის ბატალიონში.

საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხელოვნების ნაწარმოებთა ძარცვას აწარმოებდნენ არა მარტო „ბატალიონები" და „რაზმები". საგანგებო სახელმწიფო კომისიის 1943 წლის 24 ივნისის ცნობაში ნათქვამია: „სახვითი ხელოვნების როსტოვის მუზეუმი გაძარცვეს და გერმანიაში გაზიდეს პირველი სატანკო არმიის სარდალმა კავალერიის გენერალმა მაკენზენმა და პირველი სატანკო არმიის პროპაგანდის განყოფილების უფროსმა მილერმა".

ბრალდებული ფრანკი, რომელიც იტაცებდა პოლონეთის სახელმწიფოს კულტურულ ფასეულობებს, მიზნად ისახავდა აგრეთვე პირად გამდიდრებას. ვარშავისა და კრაკოვის მუზეუმებიდან, კერძოდ ვაველსკის სასახლიდან ნაძარცვი სურათები, ფაიფური და ხელოვნების სხვა ნაწარმოებნი მიტანილ იქნა ფრანკის მამულში. გერინგიც ასეთი „შენაძენის" თავგამოდებული მომხრე იყო. გერინგი „იძენდა" არა მარტო ძვირფას გობელენებს საფრანგეთში. როზენბერგისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ თავის წერილში იგი იუწყებოდა, რომ, „შესყიდვის, საჩუქრის, ანდერძისა და გადაცვლის შედეგად მე ვფლობ უდიდეს კოლექციას ევროპაში თუ არა, ყოველ შემთხვევაში გერმანიაში მაინც".

ეხება რა კულტურულ ღირებულებათა დანგრევასა და გაძარცვას ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთსა და იუგოსლავიაში, ბრალმდებელი იმოწმებს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და იუგოსლავიის მთავრობათა მოხსენებებს და აქვეყნებს მთელ რიგ დოკუმენტებს.

ლაპარაკობს რა ჰიტლერელი ყაჩაღების მიერ სსრ კავშირის ხალხების კულტურულ ფასეულობათა დანგრევისა და გაძარცვის შესახებ, ბრალმდებელს მოჰყავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის 1942 წლის 27 აპრილის ნოტა.

შემდეგ ბრალმდებელი აქვეყნებს ამონაწერებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის 1942 წლის 6 იანვრის ნოტიდან, რომელშიც დაწვრილებით არის მოთხრობილი გერმანელთა უწესოების შესახებ იასნაია პოლიანაში, ჰიტლერელი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიერ კლინში ჩაიკოვსკის მუზეუმის რელიკვიების წაბილწვის შესახებ, ქალაქ ისტრაში მათ მიერ ნოვი იერუსალიმის მონასტრის განადგურების შესახებ.

ბრალმდებელი განსაკუთრებით ჩერდება გერმანელების მიერ რუსი ხალხის იმ კულტურულ-ისტორიული ძეგლების დანგრევაზე, რომლებიც დაკავშირებულია პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან. დოკუმენტის სახით ის ადგენს საგანგებო სახელმწიფო კომისიის 1944 წლის 29 აგვისტოს ცნობას „გერმანელ ფაშისტ ბარბაროსების მიერ ჩადენილი ნგრევისა და ბოროტმოქმედებების შესახებ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პუშკინის ნაკრძალში".

ბრალმდებელ რაგინსკის მიერ მასალების შემდგომი წარდგენა გადატანილია საღამოს სხდომისათვის.

## 21 თებერვლის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი,** 21 თებერვალი. (საკდესი). ტრიბუნალის საღამოს სხდომაზე ბრალდების საბჭოთა წარმომადგენელმა ამხ. რაგინსკიმ დაამთავრა ჰიტლერელების მიერ საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ რაიონებში კულტურულ ფასეულობათა დანაშაულებრივი დატაცების დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა. დატაცება ხდებოდა საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა კულტურული და ისტორიული ძეგლების შეგნებულ ბარბაროსულ ნგრევასთან ერთად ან წინ უსწრებდა მას. ბრალმდებელი ჩამოსთვლის, თუ რა ნგრევა მოახდინეს გერმანელებმა ქალაქ პუშკინში.

ბრალმდებელს მოჰყავს დასკვნები საგანგებო სახელმწიფო კომისიისა, რომელიც ამტკიცებს, რომ „პეტროდვორეცში, პუშკინსა და პავლოვსკში ხელოვნების ძეგლთა დანგრევა გერმანიის მთავრობისა და უმაღლესი სარდლობის პირდაპირი მითითებით მოახდინეს გერმანიის არმიის ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა".

ჰიტლერელი ბარბაროსები მიზნად ისახავდნენ მოესპოთ რუსი ხალხი და მისი მდიდარი კულტურა და თვითმყოფი ისტორია. ყველგან, სადაც კი გერმანელთა ურდოები შევიდნენ, ისინი ანგრევდნენ კულტურულ ცენტრებს, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს. შემთხვევითი როდია, რომ განსაკუთრებით სასტიკი ნგრევა განიცადეს ძველმა რუსულმა ქალაქებმა ნოვგოროდმა, ფსკოვმა და სმოლენსკმა.

დანაშაულებრივი ნგრევა და ძარცვა განიცადეს აგრეთვე უკრაინის, განსაკუთრებით კიევის, ხარკოვის, ოდესისა და სხვა ქალაქების ისტორიულმა და კულტურულმა ფასეულობებმა.

ოდესის კულტურულ ფასეულობათა დატაცება და ნგრევა მოეწყო გერმანელი და რუმინელი ოკუპანტების ერთობლივი ღონისძიებებით.

ბრალმდებელს მოჰყავს იმის დამამტკიცებელი საბუთები, თუ რა კოლოსალური მასშტაბი მიიღო გერმანელების მიერ ბელორუსიაში, განსაკუთრებით მის დედაქალაქ მინსკში, წარმოებულმა ძარცვა-ნგრევამ.

ბრალმდებელი დაწვრილებით ჩამოსთვლის გერმანელი ოკუპანტების მიერ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში კულტურულ ფასეულობათა დატაცების ფაქტებს და იძლევა ამ საბჭოთა რესპუბლიკების ქალაქებში გერმანელების მიერ წარმოებული ნგრევის თვალსაჩინო სურათს.

აჯამებს რა საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გერმანელთა მძარცველური და დამანგრეველი საქმიანობის შედეგებს, ბრალმდებელს მოჰყავს მასალები საგანგებო სახელმწიფო კომისიისა, რომელიც აღნიშნავს, რომ გერმანელებმა მოსპეს პროფკავშირების კუთვნილი 120 სანატორიუმი და 150 დასასვენებელი სახლი, დაანგრიეს და გაძარცვეს 82 ათასი დაწყებითი და საშუალო სკოლა, მთლიანად ან ნაწილობრივ დაანგრიეს 334 უმაღლესი სასწავლებელი, დაიტაცეს და მოსპეს მასობრივი ბიბლიოთეკების კუთვნილი 100 მილიონზე მეტი წიგნი. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მოსპეს 605 სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, დაანგრიეს და გაძარცვეს 6 ათასი საავადმყოფო, 33 ათასი პოლიკლინიკა, დისპანსერი და ამბულატორია, 976 სახელმწიფო სანატორიუმი, 656 დასასვენებელი სახლი, 427 მუზეუმი და 44 ათასი თეატრი, კლუბი და წითელი კუთხე.

ამის შემდეგ ბრალმდებელმა ტრიბუნალს დამამტკიცებელ საბუთად წარუდგინა დოკუმენტალური ფილმი გერმანელების მიერ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ხელოვნების ნაწარმოებთა და ეროვნული კულტურის ძეგლთა მოსპობის შესახებ.

კინოდოკუმენტის დემონსტრაციის შემდეგ ბრალმდებელმა დაამთავრა თავისი მოხსენება იმ ძარცვა-ნგრევის მიმოხილვით, რაც გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა მონასტრებსა და რელიგიური კულტების სხვა დაწესებულებებში მოახდინეს. „ჯარისკაცები და ოფიცრები, — ამბობს ბრალმდებელი, — ტაძრებში საშინელ რბევა-აწიოკებას აწყობდნენ, ეკლესიებში ცხენები და ძაღლები ებათ, საეკლესიო სამოსელს იცვამდნენ, ხატებისაგან საწოლ ტახტებს იკეთებდნენ". ბრალმდებელი იმოწმებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვის 1942 წლის 27 აპრილის ნოტას და აცხადებს, რომ მარტო მოსკოვის ოლქის ცამეტ რაიონში გერმანელმა ოკუპანტებმა 42 ეკლესია დაანგრიეს. სულ კი გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა მთლიანად დაანგრიეს ან ნაწილობრივ დააზიანეს 1.670 ეკლესია, 69 სამლოცველო, 237 რომის კათოლიკეთა კოსტიოლი, 4 მეჩითი, 532 სინაგოგა და რელიგიური კულტების 264 სხვა შენობა.

აჯამებს რა თავისი გამოსვლის შედეგებს, ბრალმდებელი რაგინსკი ამბობს: „შეიძლება აღდგენილ იქნას გერმანელების მიერ აფეთქებული და დამწვარი ფაბრიკა-ქარხნები, მაგრამ კაცობრიობისათვის სამუდამოდ დაკარგულია ხელოვნების განუმეორებელი ნაწარმოებნი, რომლებიც ჰიტლერელებმა ბარბაროსულად მოსპეს, აგრეთვე აუნაზღაურებელია იმ მილიონობით ადამიანთა სიცოცხლე, რომლებიც ფაშისტებმა გაჟლიტეს ოსვენციმსა და ტრებლინკაში, ბაბი იარსა და ქერჩში. კადნიერად ხელჰყვეს რა კაცობრიობის მომავალი, ჰიტლერელებმა ფეხით გასთელეს კაცობრიობის წარსულის საუკეთესო მემკვიდრეობა. კულტურასა და ბნელეთისმოციქულობას, ცივილიზაციასა და ბარბაროსობას შორის გამართულ უმაგალითო ორთაბრძოლაში გამარჯვებულ გამოვიდნენ კულტურა და ცივილიზაცია. ჰიტლერელი შეთქმულნი, რომელნიც მსოფლიო ბატონობაზე, სლავი და სხვა ხალხების კულტურის მოსპობაზე ოცნებობდნენ, ბრალდებულთა სკამზე სხედან. დაე მათ ჯეროვანი საზღაური მიეგოთ!"

ამით მთავრდება საღამოს სხდომა.

# ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის ერთობლივი განცხადება ესპანეთის შესახებ

**ლონდონი,** 4 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი განცხადება ესპანეთის შესახებ. განცხადებაში ნათქვამია: „საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობებმა ერთმანეთს გაუზიარეს შეხედულებანი ესპანეთის არსებული მთავრობისა და ამ რეჟიმისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ. ისინი შეთანხმდნენ იმაში, რომ მანამდე, ვიდრე ესპანეთში ხელისუფლების სათავეში გენერალი ფრანკო იქნება, ესპანელ ხალხს არ შეუძლია ჰქონდეს იმედი მსოფლიოს იმ ქვეყნებთან სრული და გულითადი ურთიერთობისა, რომლებმაც საერთო ღონისძიებათა შედეგად უზრუნველჰყვეს დამარცხება გერმანული ნაციზმისა და იტალიური ფაშიზმისა, რადგანაც ამ უკანასკნელებმა ხელი შეუწყეს ესპანეთის ახლანდელი რეჟიმის ჩადგომას ხელისუფლების სათავეში და რომელთა ნიმუშითაც შექმნილი იყო ეს რეჟიმი".

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ესპანეთის ახლანდელი რეჟიმი ახორციელებს რეპრესიულ ზომებს, მიმართულს ესპანელი ხალხის იმ ცდების წინააღმდეგ, რომ დაირაზმოს და გამოხატოს თავისი პოლიტიკური მისწრაფებანი, და ამავე დროს გამოთქმულია იმედი, რომ „პატრიოტულად განწყობილი და ლიბერალურად მოაზროვნე ხელმძღვანელი ესპანელები, შესაძლოა, მალე იპოვნიან იმის საშუალებას, რომ უზრუნველჰყონ ფრანკოს მშვიდობიანი მოცილება, ფალანგის ლიკვიდაცია და დროებითი ან გარდამავალი მთავრობის შექმნა, რომლის დროსაც ესპანელ ხალხს შეეძლება თავისუფლად განსაზღვროს მმართველობის ის ფორმა, რომელიც მას სურს ჰქონდეს, და აირჩევს თავის ლიდერებს.

პოლიტიკური ამნისტია, სამშობლოდან გაძევებული ესპანელების დაბრუნება, კრებებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების თავისუფლება და თავისუფალი საყოველთაო არჩევნების უზრუნველყოფა—ყოველივე ეს არსებითად მნიშვნელოვანია. დროებითი მთავრობა, რომელიც ამოცანად დაისახავდა ამ მიზნების მიღწევას, აღიარებულ უნდა იქნას ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მიერ და მათგან მხარდაჭერა უნდა მიიღოს".

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „საფრანგეთის, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მხრივ ესპანეთის ახლანდელ რეჟიმთან დიპლომატიური ურთიერთობის განგრძობის ან შეწყვეტის საკითხი გადაწყვეტილ უნდა იქნას მოვლენათა მიხედვით და მას შემდეგ, რაც მხედველობაში იქნება მიღებული ესპანელი ხალხის ღონისძიებანი საკუთარი თავისუფლების უზრუნველყოფის დარგში".

# ინგლისური გაზეთები კომენტარს უკეთებენ ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის განცხადებას ესპანეთის შესახებ

**ლონდონი,** 5 მარტი. (საკდესი). გაზეთი „ნიუს ქრონიკლი" კომენტარს უკეთებს ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის ერთობლივ განცხადებას ესპანეთის შესახებ და სწერს: როგორც წინასწარმეტყველებდნენ, ეს განცხადება უნდა „გახმაურებულიყო, როგორც იმდენად ძლიერი საყვირის ხმა, რომ ფრანკოს ციხის კედლები მტვრად ქცეულიყო. ამის ნაცვლად, სამი მესაყვირე სუსტი ბუკით გამოეხმაურა ერთმანეთს". შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ „ერთობლივი განცხადება იმაზე ცოტა მეტ რამეს წარმოადგენს, ვიდრე იმედის გამოთქმა, რომ ესპანელი ხალხი როგორმე შექმნის დროებით მთავრობას, მაგრამ ამასთან არ მიმართავს სამოქალაქო ომს", რომ „ახლანდელი ერთობლივი განცხადება მხოლოდ ბუმბულით ლუტუნს წარმოადგენს. ვის შეუძლია ამ მსუბუქი ქადაგების საფუძველზე მიხვდეს, რომ ომის განმავლობაში ფრანკო ჩვენი შეურიგებელი მტერი იყო, რომ იგი მეგობრობდა ჰიტლერსა და მუსოლინის (რამდენადაც მათს კრეატურას წარმოადგენდა) და რომ მან „ცისფერი დივიზია" გაგზავნა ჩვენი რუსი მოკავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად ომის კულმინაციურ პერიოდში?"

„ლონდონის წრეებში,—სწერს მიმომხილველი გაზეთ „ნიუს ქრონიკლში",—რომლებიც კარგად იცნობენ ესპანეთში არსებულ მდგომარეობას, 4 მარტს საღამოს იმ აზრს გამოსთქვამდნენ, რომ, თუ ახალ განცხადებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ესპანეთში არსებულ რეალურ მდგომარეობასთან, იგი უნდა განვიხილოთ როგორც არმიის გენერლების, განსაკუთრებით მონარქისტი გენერლების წაქეზება—გადააყენონ ფრანკო".

შემდეგ მიმომხილველი აღნიშნავს: „...მაგრამ მეტად საეჭვოა, რომ ასეთ სასახლის რევოლუციას მოჰყვეს თავისუფალი არჩევნების ჩატარება და სამოქალაქო თავისუფლებათა აღდგენა ესპანეთში".

კონსერვატიული გაზეთი „იორკშირ პოსტი" იწონებს სამი მთავრობის განცხადებას.

# კიმონ გეორგიევის გამოსვლა

**სოფია,** 5 მარტი. (საკდესი). სოფიის რადიო გადმოგვცემს, რომ გუშინ ბულგარეთის განთავისუფლების 68 წლისთავის გამო გამართულ საზეიმო კრებაზე პრემიერ-მინისტრმა კიმონ გეორგიევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა:

ბულგარეთმა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მიიღო ყველაზე უფროსი სლავი ძმის დიდი ღონისძიებების წყალობით და უდიდესი მსხვერპლის ფასად, რაც რუსეთის ჯარებმა გაიღეს. ჩვენი ახლანდელი ახალი სახელმწიფო იშვა სლავთა სოლიდარობის შედეგად, რუსეთ-ბულგარეთის ძმობის შედეგად. ბულგარელი ხალხი გამოსთქვამდა და გამოსთქვამს თავის მარადიულ მადლობას დიდი რუსი ხალხისადმი—ჩვენი განმათავისუფლებლისადმი. ჩვენ მეორედ მივიღეთ რუსი ხალხის მტკიცე ძმური დახმარება, რომლის შემწეობითაც შევძელით ჰიტლერული უღლის მოშორება და თავისუფლების აღდგენა. საბჭოთა კავშირი სლავ ხალხებს მშვიდობიანი განვითარების პერსპექტივებს უხსნის. თანხმობა და ძმობა სლავი ხალხებისა, რომლებსაც სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას, თანხმობა და ძმობა, რაც მოპოვებულია გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში, უეჭველია ევროპის დაშოშმინებისა და ყველა დემოკრატიული ხალხის მშვიდობიანი განვითარების მძლავრ წინასწარ პირობას წარმოადგენს.

დასასრულ პრემიერ-მინისტრმა სთქვა: ბულგარეთის განთავისუფლების დღე ამავე დროს სლავთა ძმობის დღესასწაულია. 68 წლის წინათ ყველაზე უფროსი სლავი ძმის მხარდაჭერის მეოხებით ჩვენ დავამხეთ უცხო უღელი. იმავე უფროსმა სლავმა ძმამ თავის დიდ მოკავშირეებთან—შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთთან ერთად გასტეხა ჰიტლერული ძალა, რომლისგანაც ხსნა არ იყო არც ჩვენთვის, არც სხვა დემოკრატიული ხალხებისათვის. ამიტომ ამ საზეიმო დღეს, როცა ჩვენ ვდღესასწაულობთ ჩვენი განთავისუფლების წლისთავს, უსაზღვრო მადლობითა და დიდი მღელვარებით ვიგონებთ კეთილშობილ რუს ხალხს და საბჭოთა კავშირის დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის თანაშემწეთა დანიშვნა

**ლონდონი,** 5 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ 4 მარტს გამოაცხადა, რომ დაინიშნენ გენერალური მდივნის თანაშემწენი ინფორმაციის საკითხებში, სოციალურ და იურიდიულ საკითხებში, აგრეთვე მეურვეობის საკითხებში.

ჩილის ყოფილი ელჩი ბოლივიასა და ვენესუელაში ბენხამინ კოენი ინიშნება გენერალური მდივნის თანაშემწედ ინფორმაციის საკითხებში; ფრანგი პროფესორი ანრი ლოჟიე—გენერალური მდივნის თანაშემწედ სოციალურ საკითხებში; ჩეხოსლოვაკიელი იურისტი დოქტორი ივან კერნო—გენერალური მდივნის თანაშემწედ იურიდიულ საკითხებში; ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსი თანამშრომელი დოქტორი ვიქტორ-ხუ—გენერალური მდივნის თანაშემწედ მეურვეობის საკითხებში.

# მთავარ უნგრელ სამხედრო დამნაშავეთა ახალი ჯგუფის პროცესი

**ბუდაპეშტი,** 5 მარტი. (საკდესი). გუშინ ბუდაპეშტის სახალხო სასამართლოში დაიწყო უნგრეთის მთავარ სამხედრო დამნაშავეთა ახალი ჯგუფის პროცესი უნგრეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ დემე სტოიაის მეთაურობით.

# საბერძნეთის პრესისა და ინფორმაციის მინისტრის გადადგომა

**ათენი,** 5 მარტი. (საკდესი). როგორც ცნობილი გახდა, პრესისა და ინფორმაციის მინისტრი პეტმეზასი გადადგა. გადადგომის წინ პეტმეზასმა პრესაში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ვფიქრობ, რომ ეროვნული ინტერესები მოითხოვენ, რათა უკანასკნელი ძალღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ცალმხრივი არჩევნები. შექმნილი ჩიხიდან გამოსავალის საპოვნელად საჭიროა მოვიწვიოთ თათბირი ყველა დიდი პარტიისა უკიდურესი მემარცხენეებიდან უკიდურეს მემარჯვენეებამდე. პატიოსანი არჩევნების ჩატარება, განსაკუთრებით პროვინციულ ქალაქებსა და სოფლებში, ბევრად არის დამოკიდებული თვით პარტიების კეთილ ნებაზე. ყოველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ უკვე მიღებულ და მისაღებ ღონისძიებებს უკეთესი შედეგები ჰქონდეთ, აგრეთვე შინაგანი წესრიგის უზრუნველყოფისათვის საჭიროდ მიმაჩნია, რომ დიდმა პარტიებმა მონაწილეობა მიიღონ მთავრობაში და ხელი შეუწყონ სამართლიანი არჩევნების ჩატარებას 31 მარტს".

როგორც კი ეს განცხადება ცნობილი გახდა, მემარჯვენეებმა მოითხოვეს პეტმეზასის გადადგომა. მოელიან სხვა მინისტრების გადადგომას გომას კარტალისის ჯგუფიდან.

# მასწავლებელთა გაფიცვა ბომბეიში

**ლონდონი,** 6 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ ბომბეის პროვინციაში გაიფიცა დაწყებითი სკოლების 45 ათასამდე მასწავლებელი. ისინი ხელფასის გადიდებას მოითხოვენ.

# ბერძენ მონარქისტთა ამბოხება კუნძულ კეფალინიაზე

**ათენი,** 5 მარტი. (საკდესი). დასავლეთ საბერძნეთის ჟანდარმერიის უფროსის ოფიციალური ცნობიდან გამოირკვა, რომ გუშინ კუნძულ კეფალინიაზე ხიტოსებმა (მონარქისტულ ორგანიზაცია „ხ"-ის წევრებმა) მოაწყეს კალამატაში მომხდარი მათი ამასწინანდელი შეიარაღებული გამოსვლის მსგავსი ამბოხება. შეწყვეტილია კუნძულთან კავშირი. კეფალინიიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობაში ნათქვამია, რომ ალისანდრაკოსის ბანდამ მძევალთა სახით ხელთ იგდო 15 დემოკრატი. არის ცნობები, რომ კუნძულზე დიდი შეტაკებები ხდება. პატრაში გაიგზავნა მაშველი ძალები კეფალინიაზე გადასაყვანად. პრემიერ-მინისტრმა სოფულისმა განაცხადა, რომ მიღებულია საგანგებო ღონისძიებანი და რომ საზღვაო სამინისტრო კუნძულისაკენ ჰგზავნის ერთ ხომალდს. სოფულისმა აღიარა, რომ შეტაკებანი ხიტოსებმა გამოიწვიეს.

# დემონსტრაციის დახვრეტა ალექსანდრიაში

**ნიუ-იორკი,** 5 მარტი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იტყობინება, გუშინ ალექსანდრიაში მღელვარება მოხდა. პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს, მოჰკლა 6 და დასჭრა 170-მდე კაცი. ინგლისელებმა მოკლულთა სახით დაჰკარგეს ოთხი სამხედრო პოლიციელი.

ალექსანდრიის ცენტრში პოლიციის პატრულებმა არაერთხელ აუტეხეს სროლა დემონსტრანტებს.

# საყოველთაო გაფიცვა ბეირუთში

**ბეირუთი,** 5 მარტი. (საკდესი). ეგვიპტეში ინგლისელთა მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გუშინ ბეირუთში გამოცხადებულ იქნა საყოველთაო გაფიცვა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

## კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

**8 მარტს, საღამოს 8 საათზე,** შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. **სიმონიშვილის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

**ოთხშაბათს, 13 მარტს, დღის 12 საათზე გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია იწვევს „კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკურ თათბირს.**

**„კომუნისტის" საკუთარ კორესპონდენტთა დასწრება სავალდებულოა.**

მოქალაქე **ივანე იაკობის-ძე სვირიდოვმა,** მცხოვრებმა ლუნაჩარსკის ქ. № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ლუბა ვასილის-ასულ სვირიდოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

ექიმები: ლ. ჯაში, ვ. ჩიხლაძე, ვ. კილასონია, ქ. ჭუმბურიძე, ო. კაშია, ზ. თელია იუწყებიან ექიმ **თამარ იოსების-ასულ ბოსტოლანაშვილის** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება, რომ 10/III, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება **სოფიო გრიგოლის-ასულ ავალიანის** პანაშვიდი.

## თეატრებში

**სახელმწიფო ოპერა**—8/III—„აბესალომ და ეთერი", 9/III—„ტრავიატა". **რუსთაველის სახელობის**—8/III—„ტირიფის ქვეშ", 9/III — „ერთი ღამის კომედია". **მარჯანიშვილის სახელობის**—8/III—„დავით აღმაშენებელი", 9/III —„ქამთაბერის ასული". **გრიბოედოვის სახელობის**—8/III—„განათლების ნაყოფი". **მუსიკალური კომედიის**—8/III—„მსახიობის სიყვარული", 9/III—„აზნაურები". **სანკულტურის**—9/III—„პატიოსნებისათვის". **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—8/III — „სურამის ციხე", 9/III — „ნაცარქექია".

## კინოებში

**8 მარტს: რუსთაველის სახელობის**—„უმზითვო". **დამკვრელი**—„სილვა". **კომკავშირელი** — „მდიდარი საცოლე". **სპარტაკი**—„ნათელი გზა". **ლუქსემბურგის სახელობის**—„არშინ-მალ-ალან". **26 კომისრის სახელობის**—„ერთ ღამეს".

თელავის ექიმთა კოლექტივი იუწყება გზირიშვილის დედის **ანას** გარდაცვალებას.

მშობლები ქეთო და შოთა, დები ვიოლეტა, თამილა იუწყებიან პატარა **ფაზიკო (ფარნაოზ) მაჭავარიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9/III, 7 ს. გამოსვენება 10/III, 2 ს. ლისის შესახვევი, 6.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის კოლექტივი იუწყება **სიმონ კონსტანტინეს-ძე ფიცხელაურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/III თელავში.

სონა ფანიაშვილი შვილებით, სიძეებით იუწყება სიძის **აბრამ ალექსის-ძე მაისურაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10/III.

ოჯახი იუწყება რომ 10/III, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე შესდგება **ერასტი ილარიონის-ძე გვასალიას** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, მორიგისა და გამომშვების—3.81.65, გამომცემლობის—3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00031